პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 69 (10463)

ხუთშაბათი, 22 მარტი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროვნების კულტი უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის

ბანუზომლად დიდია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის, ისტორიული როლი და მნიშვნელობა როგორც ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი მუშაობის, ისე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ყველა წარმატება მოპოვებულია იმის შედეგად, რომ მოწოდების დონეზე იდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც სწორად მიჰყავდა საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის გზით.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმატებითს საქმიანობას საფუძვლად ედო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი გამოყენება, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების უაღრესად მტკიცედ დაცვა, განუხრელად შესრულება ლენინის მითითებისა ხალხთან ჩვენი პარტიის განუყრელი კავშირის შესახებ. მთელი ამ წლების მანძილზე პარტიას მაღლა ეჭირა უკვდავი ლენინის დიადი დროშა.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღადგინა ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპი, ყველა ღონისძიებით ხელს უწყობდა კომუნისტებისა და ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას, გადაჭრით გაილაშქრა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის და რომელიც ამცირებდა პარტიისა და მასების როლს, სერიოზულ შეცდომებს იწვევდა ჩვენს მუშაობაში.

პიროვნების კულტი უაღრესად მავნეა. იგი ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების უხეში დამახინჯებაა. პიროვნების კულტი გარდუვალად იწვევს პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ბრძოლის წარმმართველი როლის დამცირებას, პარტიული მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის მოდუნებას, გზას უხშობს წინსვლის მძლავრ საშუალებას — კრიტიკასა და თვითკრიტიკას. კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპის უგულებელყოფა, პიროვნების კულტი საფუძვლად ედებოდა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, იწვევდა თვითნებობას და გარკვეულ პერიოდში ზიანს აყენებდა პარტიული ხელმძღვანელობის საქმეს.

ცნობილია, თუ რა დიდი სიძულვილით იყვნენ გამსჭვალულნი ყოველგვარი კულტის მიმართ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები მარქსი და ენგელსი. პიროვნების კულტის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა ვ. ი. ლენინი, რომელმაც გამანადგურებელი ლაზვარი ჩასცა ნაროდნიკებისა და ესერების ყალბ თეორიას „გმირებისა“ და „ბრბოს“ შესახებ, მასებისათვის „გმირის“ დაპირისპირების თეორიას. „მხოლოდ ის გაიმარჯვებს და შეინარჩუნებს ხელისუფლებას, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ვისაც რწმენა აქვს ხალხისა, ვინც ჩაეშვება ხალხის ცოცხალი შემოქმედების წყაროში“.

მარქსიზმ-ლენინიზმი როდი უარყოფს პიროვნების როლს ისტორიაში. გამოჩენილ პიროვნებათა ძალა საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერი პროცესის წინასწარ განჭვრეტის უნარშია. ისტორიას ადამიანები ქმნიან და ამიტომ პიროვნებათა მოქმედებას არ შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა არ ენიჭებოდეს. მაგრამ პიროვნების კულტი პიროვნების როლის ამგვარი გაგება როდია. მისი მავნეობა იმაში იდგომარეობს, რომ იგი ამა თუ იმ მოღვაწეს აქცევს შეუცდომელ გძირ სასწაულმოქმედად — თითქოს მხოლოდ ის არის მოწოდებული იფიქროს ყველას მაგიერ, აღმერთებს და ისეთ თვისებებს მიაწერს, რომლებიც მას არ შეიძლება ჰქონდეს — თითქოს შეეძლოს მოვლენათა ბუნებრივი სვლის შეჩერება ან შეცვლა, ამავე დროს ამცირებს პარტიისა და ხალხის მასების როლს, იწვევს მათი შემოქმედებითი აქტივობის შენელებას.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მხოლოდ ხალხია უკვდავი, ხალხი რომელიც ისტორიის შემოქმედია. ყოველივე დანარჩენი წარმავალია. ძალა ხალხშია. ჩინური ანდაზა ამბობს „მთელმა ხალხმა რომ ერთდროულად ამოისუნთქოს, გრიგალი ამოვარდება“. უძლეველია ხალხი, რომელსაც მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიით შეიარაღებული კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

კომუნისტური პარტიის ძალისა და ძლიერების წყარო ის არის, რომ იგი მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხთან, ფართო მასებთან, რომლებიც კომუნისტურ პარტიაში ხედავენ მშრომელთა ინტერესების დამცველს, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონების მცოდნე ხელმძღვანელს, ბელადსა და მასწავლებელს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სანგარიშო მოხსენების გამო პარტიის XX ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აქტივობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგების ფართო განმარტებას. ყრილობას მიაჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტი სავსებით სწორად გამოვიდა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომლის გავრცელება ამცირებდა პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის როლს და ზრნრად იწვევდა სერიოზულ შეცდომებს მუშაობაში. ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს არ შეასუსტოს ბრძოლა პიროვნების კულტის ნაშთების წინააღმდეგ, მთელ თავის მოღვაწეობას საფუძვლად დაუდოს ის, რომ ახალი ცხოვრების ნამდვილი შემოქმედნი არიან ხალხის მასები, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ფართო პროპაგანდა გაუწიონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მტკიცედ იხელმძღვანელონ დიდი ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია მისი კოლექტიურობა, პარტიის ძალაა მასებთან ფართო კავშირი, წინსვლის მთავარი პირობაა შეუზღუდავი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

პარტიის XX ყრილობის წინასწარ-დასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ გრანდიოზულ სამუშაოთა გადაჭარბებით შესრულებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების შრომითს აღმავლობას, ულმობელი ბრძოლა გააჩაღონ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმიხ გადმონაშთების აღმოფხვრისათვის, იბრძოლონ პიროვნების კულტის ნაშთების წინააღმდეგ, მტკიცედ დაიცვან პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები და ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ დაჩქარონ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა.

ВАРШАВИДАН გამოემგზავრა ნ. ს. ხრუშჩოვი

ВАРШАВА. 21 მარტი. (საკდესი). დღეს ვარშავიდან მოსკოვს გაემგზავრნენ ამხანაგ ბოლესლავ ბერუტის დაკრძალვაზე მყოფი საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრი მწერალი ვ. ლ. ვასილევსკაია.

ვარშავის აეროდრომზე მიმავალნი გააცილეს: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ოხაბმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ზავადსკიმ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ი. ბერჩანმა, ვ. დვორაკოვსკიმ, რ. ზამბროვსკიმ, ფ. მაზურმა, გ. მინცმა, ზ. ნოვაკმა, კ. როკოსოვსკიმ, ფ. იუჟვიაკმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ე. ალბრიხტმა, ე. გერეკმა, ვ. მატვინმა, ე. მორავსკიმ, მინისტრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა პოლონეთში პ. კ. პონომარენკომ და საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

მოსკოვს დაბრუნდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი

21 მარტს ვარშავიდან მოსკოვს დაბრუნდნენ ამხანაგ ბოლესლავ ბერუტის დაკრძალვაზე მყოფი საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და აღნიშნული დელეგაციის წევრი ამხანაგი ვ. ლ. ვასილევსკაია. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

როგორც საბჭოთა პრესა უკვე იუწყებოდა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა შორეული აღმოსავლეთის ორაგულის მომრავლებისა და დაცვის საკითხი და მისცა მითითება სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროსა და სხვა შესაბამის ორგანოებს მოამზადონ წინადადებანი სასწრაფო ღონისძიებათა შესახებ იმისათვის, რომ შეწყდეს ორაგულის მატლური ჭერა მისი მიგრაციის გზებზე.

ამასწინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა წარდგენილი წინადადებანი და მიიღო შემდეგი დადგენილება:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

ორაგულის მარაგის დაცვისა და მისი რეწვის მოწესრიგებების შესახებ გაშლილ ზღვაში, სსრ კავშირის ტერიტორიული წყლების მომიჯნავე რაიონებში შორეულ აღმოსავლეთში

მეცნიერებისა და რეწვის არსებული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ორაგულის მოუწესრიგებელი რეწვის სულ უფრო მზარდი მასშტაბი წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელიც ხდება მისი რიცხვის გაუთვალისწინებლად, მოსპობის საფრთხეს უქმნის ამ ძვირფასი სარეწაო ჯიშის თევზის მარაგს.

ამ პირობებში ფრიად ძვირადღირებული ღონისძიებანი, რაც ხორციელდება სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს ხაზით ორაგულის დასაცავად და მოსამრავლებლად ოხოტისა და კამჩატკის სანაპიროებზე, რომელთა მდინარეებშიც მიდის ორაგული ქვირითის დასაყრელად, ვერ უზრუნველყოფს ორაგულის მარაგის დაცვას.

შორეული აღმოსავლეთის ორაგულის მარაგის მაღალი და მყარი დონის დაცვისა და უზრუნველყოფის მიზნით, რომლის რეწვა საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის მოსახლეობის და განსაკუთრებით ოხოტ-კამჩატკის სანაპიროს მოსახლეობის ძირითადი მოსაქმეობაა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სანამ დაინტერესებულ ქვეყნებთან შესაბამისი შეთანხმება დაიდებოდეს, დროებით დაწესდეს გაშლილ ზღვაში შორეული აღმოსავლეთის ორაგულის მოწესრიგებული ჭერის ზონები ოხოტის ზღვაში, აგრეთვე ბერინგის ზღვის დასავლეთ ნაწილსა და სსრ კავშირის ტერიტორიული წყლების მომიჯნავე წყნარი ოკეანის წყლებში, იმ პირობითი ხაზის დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით, რომელიც გადის შემდეგ კოორდინატებზე: ბერინგის ზღვის ოლუტორსკის კონცხიდან სამხრეთისაკენ მერიდიანის გაყოლებით ჩრდილოეთი განედის 48° და აღმოსავლეთი გრძედის 170° და 25' წერტილამდე, ხოლო შემდეგ სამხრეთ-დასავლეთისაკენ სსრ კავშირის ტერიტორიული წყლების საზღვრის გადაკვეთამდე კუნძულ ანუჩინთან (კურილის მცირე მთაგრეხილი).

ამ ზონებში ორაგულის ჭერა ქვირითის საყრელად მისი სვლის პერიოდში (15 მაისიდან 15 სექტემბრამდე) შეზღუდულია როგორც საბჭოთა ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისათვის, ისე სხვა სახელმწიფოთა ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისათვის.

2. 1956 წლის სარეწაო სეზონში შორეული აღმოსავლეთის ორაგულის ჭერა ამ დადგენილების 1 პუნქტში მოხსენიებულ ზონებში დაწესდეს 500 ათასი ცენტნერის (დაახლოებით 25 მილიონი ცალის) ოდენობით. ხსენებულ ზონებში რეწვა შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ სპეციალური ნებართვით, რომელსაც გასცემენ სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს თევზჭერის ზედამხედველობის ორგანოები.

3. ამ დადგენილების მე-2 პუნქტში მოხსენიებულ ზონებში თევზჭერისადმი მეთვალყურეობა და კონტროლი დაეკისროთ თევზჭერის ზედამხედველობის ორგანოებს.

4. ეს დადგენილება სრულიადაც არ ეხება მოხსენიებულ ზონებში ნაოსნობის თავისუფლებას. (საკდესი).

საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ნორვეგიელ საზოგადო მოღვაწეს პასტორ რაგნარ ფორბეკს

20 მარტს კრემლში, სვერდლოვის დარბაზში საზეიმო ვითარებაში გადაეცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გამოჩენილ ნორვეგიელ პროგრესულ მოღვაწეს, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრს პასტორ რაგნარ ფორბეკს.

გადაცემის ცერემონიას დაესწრნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის, საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის წევრები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები. შეკრებილთა შორის იყვნენ აგრეთვე მართლმადიდებელი, ლუთერანული და ბაპტისტური ეკლესიების თვალსაჩინო მოღვაწეები.

თავმჯდომარეობდა საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი. მან მხურვალედ მიულოცა პასტორ ფორბეკს საპატიო ჯილდო. აკადემიკოსმა სკობელცინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პასტორ ფორბეკის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მშვიდობის დიადი საქმისათვის, პროგრესისა და სამართლიანობისათვის — ყოველი თავისუფლებისმოყვარე ადამიანის ამ ძვირფასი იდეალებისათვის უანგარო სამსახურის ნიმუშია.

თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს და მშვიდობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, პასტორ ფორბეკს არაერთხელ მამაცურად აღუმაღლებია ხმა მშვიდობის დასაცავად. იგი მტკიცედ იბრძვის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირებისათვის, სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის სადავო საერთაშორისო საკითხების შეთანხმების გზით გადაჭრისათვის.

სიტყვის დასასრულს აკადემიკოსმა სკობელცინმა გამოთქვა რწმენა, რომ პასტორ რაგნარ ფორბეკის მოსკოვში ყოფნა და მისთვის მშვიდობის საერთაშორისო პრემიის გადაცემა ხელს შეუწყობს ნორვეგიელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

შემდეგ რ. ფორბეკს გადაეცა მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის ოქროს მედალი და დიპლომი.

დაჯილდოებულს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ა. ლებედევამ, კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ პ. დ. დიავაკოვმა და საბჭოთა კავშირის ევანგელისტ ქრისტიან-ბაპტისტთა საბჭოს გენერალურმა მდივანმა ა. ვ. კარევმა.

საპასუხო სიტყვაში პასტორმა რაგნარ ფორბეკმა მხურვალე მადლობა გამოთქვა გაწეული პატივისათვის. მან თქვა, რომ იგი მშვიდობისათვის მებრძოლი გახდა იმ იდეის საფუძველზე, რომ მთელი კაცობრიობა წარმოადგენს დიდ ოჯახს. პაციფიზმი, თქვა პასტორმა ფორბეკმა, ვერ იხსნის მსოფლიოს ატლანტიკელი სამშიო სიტუაციისაგან. ამიტომ მე სულით და გულით მივემხრე ახალ მსოფლიო მოძრაობას მშვიდობისათვის, რომელსაც მშვიდობის მსოფლიო საბჭო მეთაურობს.

თუ ყოველი ადამიანი შეიტანს თავის წვლილს მშვიდობისათვის ბრძოლაში, მაშინ ხალხების ზეგავლენა ისეთი ძლიერი იქნება, რომ ვერც ერთი სახელმწიფო მოღვაწე, ვერც ერთი მთავრობა ვერ დაიწყებს ომს.

თავისი სიტყვის დასასრულს პასტორმა რ. ფორბეკმა გამარჯვება უსურვა მშვიდობასა და მეგობრობას ყველა ხალხს შორის. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი

პაკისტანის მთავრობის მიწვევით პაკისტანის რესპუბლიკად გამოცხადების გამო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად 20 მარტს მოსკოვიდან კარაჩში გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის სპეციალური წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი.

ა. ი. მიქოიანს პაკისტანში მიჰყვებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის ელჩი პაკისტანში ი. ფ. შპედკო და დესპანი ფ. პ. დოლია.

ა. ი. მიქოიანი ცენტრალურ აეროდრომზე გააცილეს: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა კ. ი. კოვალმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განყოფილების გამგემ ბ. მ. ვოლკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელმა ლ. ფ. ტეპლოვმა და სხვებმა.

ა. ი. მიქოიანი გააცილეს აგრეთვე საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩებმა: ბირმის კავშირისამ — მონგ ონმა, ინდოეთის რესპუბლიკისამ — კ. პ. შ. მენონმა, ავღანეთისამ — გ. ი. თარზიმ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისამ — ლიუ სიაომ, პაკისტანის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა — მაჰმუდ აჰმადმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისამ — ტო კუანგ დაუმ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისამ — ვ. ტოიბომ და აღნიშნულ საელჩოთა თანამშრომლებმა.

ა. ი. მიქოიანი ეწვევა აგრეთვე ავღანეთს, ინდოეთს, ბირმას, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას აღნიშნული ქვეყნების მთავრობათა მიწვევით. (საკდესი).

მარშალი ჯუ დე მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა

20 მარტს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ჯუ დე და მისი თანმხლები პირები.

იაროსლავლის ვაგზალზე, რომელიც მორთული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ალმებით, მარშალი ჯუ დე გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. მ. კაგანოვიჩმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. ტ. ფედორენკომ, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგემ ი. ფ. კურდიუკოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსმა ე. ა. ტარაბრინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემასრულებელმა ლ. ფ. ტეპლოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ი. ს. კოლესნიკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, საბჭოთა და უცხოელმა ჟურნალისტებმა.

მარშალი ჯუ დე გააცილეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლიუ სიაომ და საელჩოს თანამშრომლებმა. ვაგზალზე იყვნენ აგრეთვე მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში.

მარშალ ჯუ დეს გაცილების დროს ვაგზლის პერონზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მოსკოვიდან გამგზავრების წინ მარშალი ჯუ დე გამოვიდა მიკროფონთან. მან თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ჩემთვის უდიდესი სიხარული და ჩემს ცხოვრებაში დიდი პატივია ის, რომ შესაძლებლობა მქონდა მენახა დიდი საბჭოთა კავშირი და სხვა ამხანაგებთან ერთად ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მონაწილეობა მიმეღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაში, რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ახლა, ვტოვებ რა მოსკოვს, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ თქვენ და საბჭოთა ხალხს ჩემი გულითადი და ღრმა მადლობა განსაკუთრებით მეგობრული და მხურვალე სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც ჩვენ გაგვიწიეთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახლახან დამთავრებულ XX ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, რომელიც ამ ხანაგმა ხრუშჩოვმა გააკეთა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა ხალხის ბრძოლისათვის კომუნიზმის ასაშენებლად, არამედ აგრეთვე უდიდესი წვლილია სოციალიზმის მშენებლობისათვის მომძლე ქვეყნების ხალხთა ბრძოლის საქმეში, მშვიდობისა და პროგრესისათვის ყველა ქვეყნის ხალხთა ფართო მასების ბრძოლის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ მე ვიყავი სსრ კავშირის სხვადასხვა ადგილას და საკუთარი თვალით ვნახე იმის დაუვიწყარი სურათი, თუ რა უდიდესი ენთუზიაზმით იბრძვის საბჭოთა ხალხი, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია თავისი კომუნისტური პარტიის გარშემო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის. დარწმუნებული თავის დიდ შემოქმედებითს ძალებში, თავისი კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ნაყოფიერი კოლექტიური ხელმძღვანელობის სიბრძნესა და სისწორეში, საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით და მეტი ძალღონით მიდის წინ დიადი მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოებისაკენ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ გზაზე საბჭოთა ხალხი ივლის გამარჯვებებიდან ახალ, კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებამდე, და ამით კიდევ უფრო დიდ წვლილს შეიტანს კაცობრიობის პროგრესის საქმეში.

როგორც მოსკოვში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში ყველგან განვიცდიდი საბჭოთა ხალხის განუზომლად დიდ ძმურ გრძნობებს ჩინელი ხალხისადმი. ეჭვი არ არის, რომ ეს არის საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევი ძმური კავშირის განუხრელი განვითარებისა და განმტკიცების გამოხატულება. საბჭოთა და ჩინელი ხალხების ეს მეგობრობა და დარაზმულობა, ისევე როგორც მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების მეგობრობა და დარაზმულობა, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვების გარანტიაა.

ძვირფასო ამხანაგებო! გეშმვიდობებით რა, გისურვებთ თქვენ და საბჭოთა ხალხს კიდევ უფრო მეტ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში.

გაუმარჯოს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევ დარაზმულობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების დარაზმულობასა და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირის მეთაურობით!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

* * *

მარშალი ჯუ დე მეგობრულად ართმევს ხელს გამცილებლებს. მატარებელი დაიძრა.

საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის საზღვრამდე მარშალ ჯუ დეს ახლავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი. (საკდესი).

დეპეშა

პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსს

გ-ნ მაქს პტიპიერს

ბერნი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის 10 წლისთავის გამო მიიღეთ, ბატონო ფედერალურო მრჩეველო, მშვიდობისმოყვარე შვეიცარიელი ხალხის კეთილდღეობისა და აყვავების და პირადად თქვენი ბედნიერების ჩემი საუკეთესო სურვილები.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა გამოვთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის ურთიერთობა განვითარდება და განმტკიცდება მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩვენი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ.

ვ. მოლოტოვი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი

მოსკოვი, 1956 წლის 17 მარტი.

დეპეშა

მის აღმატებულებას გატონ ვ. მოლოტოვს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს

მოსკოვი

გმადლობთ, ბატონო მინისტრო, თქვენი დეპეშისათვის, რომელმაც ძალიან მასიამოვნა. ჩემი მხრივ გამოვთქვამ სურვილს, რომ კონფედერაციისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, რომლის აღდგენის ბედნიერება ჩვენ გვქონდა ათი წლის წინათ, კვლავ კეთილსასურველად ვითარდებოდეს ჩვენი ორივე ხალხისა და მშვიდობის ინტერესებისათვის, რომელსაც ისინი ესწრაფვიან. ვუსურვებ აყვავებას თქვენს ქვეყანას, კეთილდღეობას საბჭოთა ხალხს და ბედნიერებას პირადად თქვენ.

მაქს პტიპიერი,

პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი ფედერალური საბჭო.

ბერნი, 1956 წლის 19 მარტი.

მთელი ძალები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და ასამაღლებლად

ქალაქ თბილისის პარტიული აქტივის კრება

19-20 მარტს გაიმართა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრების საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგებსა და თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

— პარტიის XX ყრილობამ, რომელსაც უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, — ამბობს ამხ. მჟავანაძე, — საბჭოთა ხალხის მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა. ყრილობამ ცხადყო პარტიის ურყევი ერთიანობა, მისი დარაზმულობა ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების გამარჯვება. ყრილობამ ცხადყო, რომ ჩვენი პარტია — კომუნიზმისათვის ბრძოლაში დიდი წარმმართველი და შთამაგონებელი ძალა — განუყრელად დაკავშირებულია ხალხის მასებთან, მთელ თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის თავდადებულ მხარდაჭერას, გამოხატავს მათს სასიცოცხლო ინტერესებს.

საქართველოს, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის, მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებს.

ყრილობამ შეაჯამა საბჭოთა ხალხის გმირული შრომის, კომუნისტური პარტიის უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის შედეგები და დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებული პროგრამა. ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება, წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში მისი გამოყენების ნიმუშს. ამ გადაწყვეტილებებში კვლავ მკაფიოდ გამოიხატა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის. საქართველოს სსრ მაგალითთან, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა განვითარებული ინდუსტრიის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, მსხვილი ელექტროსადგურების, მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად, რომელმაც 1955 წელს მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 1913 წელთან შედარებით 27-ჯერ გაადიდა, ნათლად ჩანს ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, კომუნისტური პარტიის მიერ გამოშვედილი სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცების შესანიშნავი ნაყოფი.

მომხსენებელი და კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ თბილისის კომუნისტები და ყველა მშრომელნი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვნად და მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსჭვალულია ლენინიზმის სულისკვეთებით, და იღებენ მათ განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის.

განიხილეს რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, აქტივის კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღება მიაქციეს მრეწველობის მუშაობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების საკითხებს, ამხილეს არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს მეხუთე ხუთწლედის დავალებანი და ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 1.069 მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია. 1950 წელთან შედარებით წარმოება გაიზარდა 67,9 პროცენტით.

ქალაქის საწარმოებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შემდეგ განხორციელდა წარმოების შემდგომი გაუმჯობესების, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შინარეზერვების უკეთ გამოყენების მთელი რიგი ღონისძიებანი.

ფართოდ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად, თბილისის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი ორი თვის გეგმა, 25,8 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვეს, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

კრების მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა თბილისის მშრომელებში გამოიწვია შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის ახალი აღმავლობა.

პარტიის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. **კ. ნ. ჯოგლიძემ** აღნიშნა, რომ რაიონის საწარმოთა კოლექტივები, აღფრთოვანებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, თავდადებით იბრძვიან მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

რაიონის მრეწველობამ ახალი წლის დამდეგიდან რამდენიმე მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

კამვოლ-მაუდის კომბინატის მრთველმა ამხ. **ლ. დ. კრასნოვამ** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იბრძვიან მემაუდეები შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. აქ ჯერ კიდევ შარშან ერთიორად იქნა გადაჭარბებული მოწყობილობის საპროექტო სიმძლავრე. ჩაება რა შეჯიბრებაში მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, კომბინატის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 100 ათასი მეტრი მაღალხარისხოვანი შალის ქსოვილები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ თბილისის მრეწველობას უსახავენ დიდ და თვისებრივად ახალ ამოცანებს.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ამ გაზრდილი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა ამაღლდეს მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე, გაძლიერდეს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობა. კამათის მონაწილენი ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ რაიკომები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები ნელა ახორციელებენ თავიანთი საქმიანობის გარდაქმნას ახალი მოთხოვნების მიხედვით, ღრმად არ სწვდებიან საწარმოთა ეკონომიკას.

აქტივზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქალაქის საწარმოებში ჯერ კიდევ სუსტად ჩაღდება ბრძოლა მნიშვნელოვანი საწარმოო რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის — მოწყობილობის სრული დატვირთვისათვის, ნედლეულისა და მასალების დანაკარგების შემცირებისათვის.

ქალაქის სამრეწველო-სატრანსპორტო საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. 13 ქარხანამ და ფაბრიკამ ვერ შეასრულა ორი თვის გეგმა. მთელი რიგი საწარმოები მუშაობენ ნახტომებით, არარიტმულად. მათგან ცალკეულნი თუმცა ასრულებენ გეგმებს საერთო პროდუქციის დარგში, მაგრამ ვერ ასრულებენ დავალებებს ნომენკლატურის, ხარისხის და სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მხრივ.

კრებაზე გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ ამოცანები, რომლებიც დასახულია ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით, მოითხოვენ სამრეწველო საწარმოთა სპეციალიზაციასა და კოოპერირებას, წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებას. საჭიროა უფრო სწრაფად განხორციელდეს კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მაღალი წარმადობის მოწყობილობისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, არსებული მანქანებისა და ჩარხების შეცვლისა და მოდერნიზაციის ღონისძიებანი.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანმა ამხ. **ლ. დ. გოგიჩაძემ** თავისი სიტყვა მიუძღვნა იმას, თუ როგორ იბრძვის პარტიული ორგანიზაცია ტექნიკური პროგრესისათვის, უნივერსალური სახარატო-ხრახნაჭრელი, მილის და სხვა ლითონსაჭრელი სპეციალური ჩარხების ახალი პროგრესული მოდელების ათვისებისათვის. მან აღნიშნა, რომ ქარხანასთან კოოპერირებული ზოგიერთი საწარმო ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს. მაგალითად, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა სისტემატურად არღვევს სხმულის მოწოდების გრაფიკს, რაც გავლენას ახდენს ჩარხების გამოშვებაზე. ქარხნის კოლექტივი, რომელიც ახორციელებს მუშაობის გარდაქმნას მეექვსე ხუთწლიან გეგმაში დასახული ამოცანების შესაბამისად, ვერ პოულობს ამ საქმეში საჭირო დახმარებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო განყოფილებების მხრივ. მათი მუშაკები იშვიათად დადიან ქარხანაში, ღრმად არ სწავლობენ მის საჭიროებებს.

სამრეწველო საწარმოთა სპეციალიზაციაზე ილაპარაკა ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორმა ამხ. **გ. გ. ბერძენიშვილმა.** მან დააყენა საკითხი, რომ საჭიროა შემცირდეს იმ მანქანების ნომენკლატურა, რომლებსაც საწარმო უშვებს, მოხდეს მანქანების კვანძებისა და დეტალების უნიფიკაცია და განსაკუთრებით გაჩაღდეს სპეციალიზაცია ქარხნებში სხმულის, ინსტრუმენტის, არმატურის წარმოება, რაც ხელს შეუწყობს მათი ნაკადური წარმოების ორგანიზაციას და ღირებულების მნიშვნელოვნად შემცირებას.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორმა ამხ. **ე. ზ. თავაძემ** აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო არ იჩენს ოპერატიულობას საწარმოსადმი ხელმძღვანელობაში, ღრმად არ სწვდება წარმოების ეკონომიკას. მაგალითად, 1956 წლის პროდუქციის გამოშვების გეგმა და მისი ასორტიმენტი კომბინატს მნიშვნელოვანი დაგვიანებით ეცნობა. სამინისტროს ხელმძღვანელები ჯეროვნად არ ზრუნავენ იმისათვის, რომ დროზე გადაეცეს საექსპლოატაციოდ სატრიკოტაჟო ფაბრიკა, რომელიც შენდება. დამაკმაყოფილებელი არ არის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის შემკეთებელ-მექანიკური ქარხნის დირექტორმა ამხ. **ი. გ. არაქელოვმა** აღნიშნა, რომ ამ საწარმოს მუშაობაზე, რომელიც რესპუბლიკის მრავალი ენერგეტიკული მშენებლობის დაკვეთებს ასრულებს, გავლენას ახდენს მოწყობილობის შეკეთების არასაკმაოდ მოფიქრებული დაგეგმვა საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის მიერ. ძალიან ნელა შენდება ახალი საწარმოო კორპუსები, რის გამო ბრკოლდება ქარხნის გაფართოება.

მომხსენებელი და კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში ბევრი სამრეწველო საწარმოს გადაცემა, რაც მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის შემდგომი აყვავებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი გამოვლინებაა, კიდევ უფრო აძლიერებს პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების პასუხისმგებლობას მრეწველობის მუშაობისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობისათვის, ავალებს მათ ღრმად სწავლობდნენ და იცნობდნენ საქმის მდგომარეობას, შეეძლოთ სწრაფად დაუჭირონ მხარი და გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, გაბედულად დანერგონ ყოველივე ახალი, მოწინავე, პროგრესული.

კრების მონაწილენი ამბობდნენ, რომ საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი შესაძლებლობანი, რათა რესპუბლიკის მსუბუქი, კვების, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა გაადიდონ სახალხო მოხმარების საგნების გამოშვება.

მოხსენებასა და გამოსვლებში აღნიშნული იყო, რომ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების უზრუნველსაყოფად საჭიროა გადიდდეს ქალაქის მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მომარაგება ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით. ეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს დიდ ამოცანებს აკისრებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

კრებაზე აღნიშნავდნენ, რომ თბილისის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ მეექვსე ხუთწლედში საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების ფართო ღონისძიებებს, რომლებიც პარტიამ დასახა.

შემოკლებული სამუშაო დღის შემოღება, საპენსიო უზრუნველყოფის მოწესრიგება, სანინარო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაჩაღების დიდი ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლიანი გეგმით, მშრომელებს აღაფრთოვანებენ ახალი შრომითი გმირობისათვის სამშობლოს სასახელოდ.

თბილისში მიმდინარე ხუთწლედში მარტო საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 60 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აშენდეს 10 სკოლა, 4 კინოთეატრი, გაიხსნას მთელი რიგი ახალი სამკურნალო დაწესებულებანი.

წელს ამუშავდება სატელევიზიო ცენტრის პირველი რიგი. ამ ხუთწლედში დაიწყება გროზნო-თბილისის გაზსადენის მშენებლობა.

პარტიისა და მთავრობის მამობრივი ზრუნვა ხალხის საჭიროებებისა და კეთილდღეობისათვის მკაფიოდ გამოიხატება კაპიტალურ მშენებლობაში სახელმწიფო დანანდებათა გადიდებით. გასულ ხუთწლედთან შედარებით კაპიტალდანანდებანი 67 პროცენტით გადიდება.

პარტიის XX ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა განხორციელება, რომელთა მიზანია მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა ყოველი ღონისძიებით დაკმაყოფილება, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე აყენებს სავაჭრო ქსელის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალურ საწარმოთა მუშაობის ძირეული გაუმჯობესების ამოცანას.

კრებამ აღნიშნა, რომ მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. საქალაქო საბჭოს აღმასკომი, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, რესპუბლიკის მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები და უწყებები ვერ ასრულებენ საბინაო მშენებლობის გეგმებს, სუსტად ნერგავენ მშენებლობებზე მუშაობის ინდუსტრიულ მეთოდებს, საკმაო ბრძოლას არ აწარმოებენ დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის წინააღმდეგ.

სამშენებლო ორგანიზაციების, კერძოდ № 1 საერთო სამშენებლო ტრესტის (მმართველი ამხ. ა. ჩიტაიშვილი) ხელმძღვანელებმა სისტემად შემოიღეს არ შეასრულონ დადებული პირობა სამშენებლო სამუშაოთა დროზე დამთავრების შესახებ.

ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ სწვდებიან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილების პრაქტიკულ საკითხებს, მტკიცე ბრძოლას არ ეწევიან ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ამ დარგში.

ბევრი მოუგვარებლობაა ქალაქის და განსაკუთრებით მისი გარეუბნების კეთილმოწყობის დარგში. სათანადო ყურადღება არ ექცევა მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას. მილიციის, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოები არ იღებენ ეფექტიან ღონისძიებებს სპეკულანტების, ხულიგნებისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ამ საქმეში სათანადო დახმარებას არ უწევენ მათ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. **დ. გ. მამამთავრიშვილმა** ილაპარაკა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, ახალ სამკურნალო და პროფილაქტიკურ საშუალებათა და უფრო გაუმჯობესებული სამედიცინო მოწყობილობის ფართოდ დანერგვის ამოცანებზე. მაგრამ მან ცოტა ილაპარაკა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

პარტიული აქტივის კრების ყურადღების ცენტრში იყო იდეოლოგიური მუშაობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდისა და შესწავლის, მშრომელთა, კერძოდ, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხები.

პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობისა და მთელი ჩვენი პროპაგანდის ძირეული ნაკლოვანებანი, მისი მოწყვეტა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან, ცხოვრებისაგან. ეს ნაკლოვანებანი, როგორც კრებაზე აღნიშნეს, თბილისის პარტიულ ორგანიზაციებსაც აქვთ.

იდეოლოგიური მუშაობა ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში, მოსახლეობაში და, განსაკუთრებით სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობაში, მიტოვებულია უყურადღებოდ, აქ ჯერ კიდევ ბევრია მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი სულისკვეთებისათვის უცხო დოგმატიზმი და მედავითნეობა.

იდეოლოგიური მუშაობის უყურადღებოდ მიტოვება მასებთან პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების კავშირის შესუსტების ერთ-ერთი მიზეზია. გამოსულნი ლაპარაკობდნენ პიროვნების კულტზე, რომელიც ამცირებს პარტიისა და ხალხის მასების როლს, პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის როლს და იწვევს სერიოზულ ნაკლოვანებებს მუშაობაში. ამ კულტს საქართველოში ფართო გავრცელება ჰქონდა.

კრების მონაწილენი იწონებდნენ იმ ღონისძიებებს, რომლებსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ნ. ე. ჭახრაკიამ** თავისი სიტყვა მიუძღვნა პარტიული პროპაგანდის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა მასებში, ღრმად განვმარტოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, დავრაზმოთ მშრომელები ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მან გააკრიტიკა პროპაგანდისტების მუშაობა, რომლებიც სუსტად განაზოგადებენ და ავრცელებენ მასებში კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკით შემოწმებულ ნიმუშებს, არ რაზავენ მშრომელებს უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად.

— თბილისის კომუნისტები, — თქვა ამხ. ჭახრაკიამ, — დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ღონისძიებებს, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების აღდგენისა და განმტკიცებისათვის, პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველ ხალხს დიდი ზიანი მიაყენა ბერიას საზიზღარმა ბანდამ, რომელიც ცდილობდა დაერღვია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ერთიანობა და მეგობრობა. ჩვენ დაუცხრომლად უნდა განვამტკიცებდეთ სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას, ულამობლად ვამხილებდეთ და ვსპობდეთ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებზე ილაპარაკა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **თ. გ. ბადურაშვილმა.** მან აღიარა, რომ ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში, ცოცხალ, ინიციატივიან, მასობრივ მუშაობას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ცვლის სასხდომო ფუსფუსით, მოსაწყენი დარიგებით. მთელ რიგ კომკავშირულ მუშაკებს არ აინტერესებთ ახალგაზრდობის მოთხოვნილებანი, სუსტად უნერგავენ მას შრომის სიყვარულს, არ აწყობენ მის კულტურულ დასვენებას. უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლების უმრავლესობა სჯერდება მხოლოდ ლექციების წაკითხვას და ყურადღებას არ აქცევს სტუდენტობაში აღმზრდელობითს მუშაობას, არ იცის სტუდენტთა ქალაქის საერთო საცხოვრებლის გზა.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტი პარტიული ორგანიზაციის დახმარებით კრიტიკულად შეაფასებს თავისი მუშაობის ნაკლოვანებებს, განახორციელებს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში მთელი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებს.

სტუდენტებისადმი მომთხოვნელობის გაძლიერების, მათ შორის დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე ილაპარაკა ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსმა ამხ. **გ. ვ. ვარდოსანიძემ.** მან თქვა, რომ ამ უმაღლეს სასწავლებელში, როგორც ერთიან ძმურ ოჯახში, ეუფლებიან მეცნიერებას 27 ეროვნების წარმომადგენლნი. ეს არის ჩვენი ქვეყნის ხალხთა ჯეროვანი მეგობრობის ერთ-ერთი მაგალითი მრავალთაგან.

კრების მონაწილეებმა თავიანთ სიტყვებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თბილისს, რომელიც მრავალეროვანი ქალაქია, სხვადასხვა ეროვნების ძმური თანამეგობრობის მტკიცედ დამკვიდრებული ტრადიციები აქვს. თბილისის მშრომელები, ისევე როგორც მთელი ქართველი ხალხი, კვლავაც ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ ერთიანობას, ურღვევ მეგობრობას, ძმურ კავშირს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ო. დ. მუსერიძემ** თქვა, რომ ყოველი საბჭოთა პატრიოტის მოვალეობაა წინააღმდეგობა გაუწიოს ყველა იმას, ვინც ცდილობს მკვდრეთით აღადგინოს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რაიმე გადმონაშთი, რომ საჭიროა ქალაქში მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

პარტიული აქტივის კრება ვერ დააკმაყოფილა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის ამხ. **კ. მ. თარგამაძის** არასაკმაო თვითკრიტიკულმა გამოსვლამ.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა არმიის გენერალმა ამხ. **ი. ი. ფედიუნინსკიმ** თავის სიტყვაში თქვა, რომ საბჭოთა მეომრები, რომლებიც თავიანთი საყვარელი სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული არიან, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, უპასუხებენ მათ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შემდგომი გაძლიერებით. მან ილაპარაკა საბჭოთა არმიისა და ხალხის ურღვევ კავშირზე, იმაზე, რომ შეიარაღებული ძალები მუდამ მზად არიან დაიცვან სოციალისტური სახელმწიფოს, საბჭოთა ადამიანების სასიცოცხლო ინტერესები.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნის ამხ. **შ. ა. მახარაძის** გამოსვლამ ცხადყო, რომ რაიკომი სუსტად არის დაკავშირებული უმაღლესი სასწავლებლების პარტიულ ორგანიზაციებთან, რომელთა მეტი წილი ამ რაიონშია. ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობდა, მაგალითად, იმას, რომ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სტუდენტთა პოლიტიკური აღზრდა და მუშაობა პროფესორთა და მასწავლებელთა იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად. უნივერსიტეტში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა უმაღლეს სასწავლებელში, არის ფაქტები, რომ შემცირებულია მოშთხოვნელობა სტუდენტებისადმი, რომ სტუდენტები ყოფაქცევის ელემენტარულ წესებს არღვევენ როგორც სასწავლებელში, ისე საზოგადოებრივ ადგილებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პარტიული ბიუროს მდივანმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა **ამხ. მ. ი. ჩიქოვანმა** ილაპარაკა, თუ როგორ გარდაქმნიან მეცნიერები თავიანთ საქმიანობას პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების მიხედვით. მეცნიერთა ღონისძიებანი მიმართულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად. ამ უკანასკნელ ხანს მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა იმისათვის, რომ განმტკიცდეს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კავშირი წარმოებასთან. მაგრამ რესპუბლიკის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია სერიოზული ნაკლი. დამაკმაყოფილებლად ვერ არის მოწყობილი ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადება. ცოტაა ასპირანტი ინსტიტუტებში, რომლებსაც აერთიანებს ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილება. მეცნიერთა შორის დიდად გავრცელებულია შეთავსება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის ნაყოფიერებაზე.

იმ მაღალი შეფასებით აღფრთოვანებული ქართველი მეცნიერები, რომელიც საბჭოთა მეცნიერების მოღვაწეებს მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, არ დაიმშრეტენ ძალღონეს, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ე. ა. სეხნიაშვილი,** რომელიც შეეხო ქალაქის მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს. მან გააკრიტიკა მუშაობა ცალკეული ფაბრიკა-ქარხნებისა, რომლებმაც ვერ შეასრულეს პროდუქციის გამოშვების, ნომენკლატურისა და ხარისხის მიმდინარე წლის ორი თვის სახელმწიფო გეგმა (ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის აგურ-ბეტონიტის კომბინატი, მარმარილოს დამუშავებელი, კირ-პუცოლანის ქარხნები და სხვ.).

მეექვსე ხუთწლედის გეგმის წარმატებით განხორციელება დიდად იქნება დამოკიდებული შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე. მაგრამ ქალაქის ზოგიერთი საწარმო (თამბაკოს საფერმენტაციო, ფანერის ქარხნები და სხვ.) ვერ უზრუნველყოფს გეგმით გათვალისწინებულ ნაყოფიერების ზრდას, წარმოების შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, არსებული მოწყობილობის მაქსიმალურად გამოყენებას და მის მოდერნიზაციას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ მასებთან მუშაობას, მკვეთრი მობრუნება უნდა მოახდინონ მეურნეობის კონკრეტული, საქმის ღრმა ცოდნაზე დამყარებული ხელმძღვანელობის საკითხებისაკენ, ჯეროვნად მოაწყონ მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პროპაგანდა და დანერგვა.

ამხ. სეხნიაშვილმა ილაპარაკა პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის დიდ ნაკლოვანებებზე. ჩვენში ხშირად აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხზე მსჯელობენ მოწყობილი კრებების, მოხსენებებისა და საუბრების რიცხვის მიხედვით. ეს იწვევს ფორმალიზმს. ცოცხალ საქმეს ხმაურით, ქაღალდების თხზვით ცვლიან.

ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველდღიურად ვზრდიდეთ მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ქართველი ხალხი ძმური თანამეგობრობით არის დაკავშირებული სსრ კავშირის ყველა ხალხთან, თავის უფროსი ძმასთან — დიდ რუს ხალხთან. ჩვენ კვლავაც დაუცხრომლად უნდა განვამტკიცოთ ეს მეგობრობა — ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერების წყარო.

ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გააჩაღონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების ღრმად შესწავლა, განუმარტონ ისინი ყველა მშრომელს, რათა ამ საფუძველზე მიეცეს მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალ აღმავლობას, წარმატებით განვახორციელოთ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი.

კრებაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ მიღებულ რეზოლუციაში ერთსულოვნად მოიწონა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი. კრების მონაწილეებმა პირობა მისცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ თბილისის კომუნისტები, აღჭურვილნი პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავიანთ რიგებს ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მთელ ძალღონეს მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის, მეექვსე ხუთწლედის დავალებათა განხორციელების

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა — მაღალ დონეზე!

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები წარმოადგენენ ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის სამჭედლოს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი ზრუნვის შედეგად ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მუშაობაა გაწეული ახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტთა მოსამზადებლად. მეხუთე ხუთწლედის წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 1 მილიონ 120 ათასზე მეტი სპეციალისტი, ე. ი. 72 პროცენტით მეტი, ვიდრე მეოთხე ხუთწლედში.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რაოდენობის ზრდა, მათი მომზადების ხარისხის ამაღლება. საბჭოთა სტუდენტი მოწოდებულია არა მარტო სრულყოფილად დაეუფლოს თავის სპეციალობას, არამედ იყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაკიც, რომელსაც უნდა აინტერესებდეს თავისი ქვეყნის ცხოვრება, იცნობდეს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, შესწევდეს უნარი გამოიყენოს ეს კანონები პრაქტიკულ საქმიანობაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი და წამყვანი უმაღლესი სასწავლებელია. აქ სწავლობს 4.850-ზე მეტი სტუდენტი, რომელთა აღზრდას ემსახურება 525 პროფესორ-მასწავლებელი. სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილებს შეხვდებით ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში. მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნისტური მშენებლობის დიდ და კეთილშობილურ საქმეში, თავდადებით შრომობენ სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. ამჟამად, პარტიის XX ყრილობის გადწყვეტილებებთან დაკავშირებით, კიდევ უფრო იზრდება უმაღლესი სასწავლებლების როლი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში და კერძოდ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტთა შორის დაბალ დონეზე დგას. იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა რექტორატის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების საერთო საქმედ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 90 პროცენტზე მეტი კომკავშირელებია. ამიტომ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და სტუდენტთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებაში დიდი როლი ეკისრება უნივერსიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციას. უნდა ითქვას, რომ იგი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ეხმარება რექტორატს, პროფესორ-მასწავლებლებს და პარტიულ ორგანიზაციას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებაში, დისციპლინის განმტკიცებაში. სწორედ ამის შედეგია ის, რომ არის სტუდენტთა ხულიგნობის, ამორალური ქცევისა და სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევები.

აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების დიდ ნაკლოვანებებზე მეტყველებს ის, რომ ამ უკანასკნელ ხანს ძალიან გახშირდა სტუდენტთა მიერ წესრიგის დარღვევის ფაქტები როგორც უნივერსიტეტის შენობაში, ლექციების მსვლელობის დროს, ისე მის გარეთ — სხვადასხვა საზოგადოებრივ ადგილებში. ხშირია შემთხვევა, როცა სტუდენტები უსაქმოდ დგანან ქუჩებში, უხეშად არღვევენ მოძრაობის წესებს, არაწესიერად იქცევიან ტრამვაისა და ტროლეიბუსში და სხვ. მთელი რიგი ფაქტები მოწმობენ სტუდენტთა ისეთ მოქმედებას, რომელიც ლაქას სცხებს საბჭოთა მოქალაქის მორალურ სახეს.

მომდინარე სასწავლო წლის დასაწყისში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ნ. მუჯირმა გაიტაცა ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ქალი და შეურაცხყოფა მიაყენა მას. ამისათვის იგი გარიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან. ამავე პერიოდში გაირიცხა ფიზიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი დ. ჩოხელი, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთ უფროს მასწავლებელს. გასული წლის დეკემბერში ხულიგნური მოქმედებისათვის უნივერსიტეტიდან გაირიცხა ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი გ. ჩიქოვანი.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ უნივერსიტეტში არ წარმოებს ყოველდღიური ბრძოლა ისეთ მოქმედებასთან, რომელიც არცხვენს საბჭოთა სტუდენტის სახელს და შეუფერებელია მისი მორალური სახისათვის. უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ჭ. ჭყონია გულახდილად აღიარებს, რომ კომკავშირის ორგანიზაცია ჯერ კიდევ ქმედითად არ იბრძვის აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის. სხვანაირად რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, კომკავშირელი ზ. რეხვიაშვილი მთვრალი გამოცხადდა საზოგადოებრივი შეკრების ადგილას, დებოში ატეხა და შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა უდანაშაულო ადამიანებს. ამის გამო იგი გაირიცხა როგორც კომკავშირიდან, ისე უნივერსიტეტიდან. განა შეეფერება კომკავშირელის სახელს ისეთი ამორალური საქციელი, რაც ჩაიდინა ფიზიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა გ. ბერაძემ? მან აირჩია ყოფაცხოვრებითი გახრწნილების გზა. მომდინარე წლის მარტში სტუდენტი ბერაძე გარიცხულ იქნა კომკავშირის რიგებიდან.

საბჭოთა უმაღლესი სკოლა მოწოდებულია აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნიზმის სულისკვეთებით, მისცეს ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანებს მაღალი განათლება. საბჭოთა სტუდენტის მორალური სახე ვლინდება სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულებით. მაგრამ უნივერსიტეტში არიან ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც სწავლაში ჩამორჩებიან, უმიზეზოდ აცდენენ ლექციებს, სემინარულ მეცადინეობას. მომდინარე წლის მარტში აკადემიური ჩამორჩენილობის გამო სიიდან ამორიცხულ იქნენ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ო. ხიდაშელი, იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი დ. ბანანაშვილი, ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ლ. ქავთარაძე და სხვ. დისციპლინის სასტემატური დარღვევისა და ლექციების გაცდენისათვის საყვედური გამოეცხადათ ფილოლოგიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებს ს. ჟვანიას, ლ. ჩანტლაძეს და სხვ. მომდინარე წლის თებერვლისათვის სტუდენტთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 5.661 საათი.

სტუდენტი ახალგაზრდობის მორალური სახის განუყრელი ნიშანია ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი. მაგრამ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები არ განუმარტავენ სტუდენტებს, რომ მათი წმიდათა-წმიდა მოვალეობაა უანგაროდ ემსახურონ სამშობლოს, იმუშაონ იქ, სადაც ისინი ყველაზე უფრო გამოადგებიან საბჭოთა სახელმწიფოს. სწორედ ამის შედეგია, რომ ცალკეული კურსდამთავრებულნი თავიანთ პირად ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებენ, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უარს ამბობენ წავიდნენ სამუშაოზე. როგორც საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობაზე აღინიშნა, 1955 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების კურსდამთავრებულთა უმეტესობამ უარი თქვა ემუშავნა რესპუბლიკის რაიონებში.

სტუდენტთა კომუნისტური შეგნებულობის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს. არის ფაქტები, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, პოლიტიკურ ეკონომიაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმსა და სხვა დისციპლინებში ზოგიერთი ლექცია და სემინარი დაბალ იდეურ დონეზე ეწყობა, მოწყვეტილია ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. ზოგჯერ ცხოვრებისაგან მოწყვეტით წარმოებს სტუდენტთა ინტერნაციონალური აღზრდა. ბევრი ლექცია ხალხთა მეგობრობის შესახებ საერთო ხასიათს ატარებს. საჭიროა აღმზრდელობითი მუშაობის მთელი ძალები წარგმართოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის მხილებისაკენ, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრისაკენ.

სტუდენტთა პოლიტიკური აღზრდისათვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლია უნივერსიტეტის მრავალტირაჟიან გაზეთს „ახალგაზრდა სტალინელს". სამწუხაროდ, მის ფურცლებზე იშვიათად შეხვდებით აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებათა გაბედულ კრიტიკას.

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში მთავარი პასუხისმგებლობა აკისრიათ პარტიულ ორგანიზაციებს. მაგრამ უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტს და მის ყოფილ მდივანს ს. ჯორბენაძეს მხედველობიდან გამორჩათ ისეთი პირველხარისხოვანი საქმე, როგორიც არის სტუდენტთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება.

საბჭოთა სტუდენტები — ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის მომავალია. უმაღლესი სასწავლებლების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისათვის არ არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საბჭოთა სტუდენტების აღზრდა კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

ს. არღუნელი.

მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის საგრეხი საამქროს მოწინავე გადამხვევები ლიანა მგელაძე და სოფიო კოროტკოვა სისტემატურად 120 პროცენტით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებას. სურათზე: ლ. მგელაძე და ს. კოროტკოვა ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

მაღაროელები თავდადებულად მუშაობენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები თავდადებული შრომით უპასუხებენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის.

ამ დღეებში ლენინის, სტალინის და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებმა გადაჭარბებით შეასრულეს მარტის პირველი ნახევრის დავალებები. მარგანეცს გეგმის გადამეტებით აძლევიან ის უბნები, რომლებსაც გ. გაფრინდაშვილი, პ. ჩაჩანიძე, ო. კობახიძე, გ. ჭოლაძე, ა. კაპანაძე და სხვ. ხელმძღვანელობენ. წარმატებით მუშაობენ აგრეთვე მარგანეცის ცენტრალური გამაუჯეფებელი და პიროქსიდების გამაუჯეფები ფაბრიკების კოლექტივები, რომლებსაც ინჟინრები ალ. მოდებაძე და არ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობენ. ცნობილმა მაღაროელებმა ტ. ფოფხაძემ, მ. ამყოლაძემ, გ. თოდაძემ, დ. კოლაძემ, კ. ნაღირაძემ, კ. ღავთაძემ, პ. მირიტაძემ და სხვებმა ორ თვეში პირველი კვარტალის გეგმები შეასრულეს.

მაღაროელები აძლიერებენ მუშაობის ტემპს.

5 ელექტრომავალი ოქრ თვეში

ხაშური. (საკ. კორ.). საუკეთესო წარმატებებს აღწევს ხაშურის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი 1956 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. საგრძნობი გადაჭარბებით არის შესრულებული ინვარისა და თებერვლის დავალებები და გეგმის გადამეტებით ამ ორ თვეში შეკეთებულია 5 ელექტრომავალი.

მემანქანეებს შორის შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ვ. ოყროშიძე, კ. ლურსმანაშვილი და ი. ლაბაძე.

დაწინაურებული ვაგონშემკეთებლები

დიდი წარმატებით მუშაობს ამიერკავკასიის რკინიგზის სავაგონო დეპოების კოლექტივთა შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად თბილისის მესამე სავაგონო დეპოს კოლექტივი, რომელმაც ინვარ-თებერვლის დავალებები გადაჭარბებით შეასრულა და მარტშიც რიტმულად მუშაობს.

თვითონ დეპოში ორი თვის მუშაობის შედეგების მიხედვით საუკეთესო მაჩვენებლები მოუპოვეს ხარატებმა ს. ქსოვრელმა და ვ. ბელოუსოვმა, მღებავმა პ. ბედენაშვილმა და მჭედელმა ნ. ზინკოვსკიმ.

წერილები რედაქციას

საავადმყოფოს მუშაობა გაუმჯობესებას მოითხოვს

ზუგდიდის რაიონულ საავადმყოფოში ავადმყოფთა მომსახურების მინიმალური პირობებიც კი არ არის შექმნილი, შენობა არ თბება, მეტ წილ პალატებში ფანჯრებს მინები არა აქვს. საავადმყოფოში ვერ იპოვნით ისეთ აუცილებელ მედიკამენტებს, როგორიც არის ანტიბიოტიკები.

იმის გამო, რომ რემონტის თანხა ვერ აითვისეს, საავადმყოფოს ძირითადი კორპუსის სახურავი და დერეფნები ავარიულ მდგომარეობაშია. ავადმყოფებს ეძლევათ ერთფეროვანი და დაბალი ხარისხის კერძები. უნდა ითქვას, რომ საქვაჭრობის ზუგდიდის განყოფილება საერთოდ უხეიროდ ამარაგებს რაიონის სამედიცინო დაწესებულებებს.

დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად საავადმყოფოს აქვს მიწის ნაკვეთი, სადაც შეიძლებოდა ბოსტნეულის დათესვა და ავადმყოფთა კვების რაციონის გაუმჯობესება, მაგრამ ნაკვეთი კერძო პირების მეურნეობად არის გადაქცეული. საავადმყოფოს სამზარეულო მოთავსებულია ტუბდისპანსერის შენობაში, რაც სანიტჰიგიენური წესების აშკარა დარღვევაა.

რამდენიმე წელია სამრეცხაოს რემონტი არ გაკეთებულა. დღემდე მოუგვარებელია მრეცხავების სპეცტანსაცმელით უზრუნველყოფის საქმე. არის შრომის კანონების უხეში დარღვევის შემთხვევები, ზედმეტ საათებში მუშაობა. ნამუშევრის ანაზღაურება კი არ ხდება. ამ საკითხზე რამდენჯერმე მიუთითეს საავადმყოფოს ხელმძღვანელებს, მაგრამ მითითება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეები ხელფასს ხშირად თავის დროზე ვერ იღებენ, რაც მათს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება საავადმყოფოს ცუდი მუშაობის შესახებ მშრომელთა წერილებს და სიგნალებს უყურადღებოდ ტოვებს.

ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს რაიონული საავადმყოფოს მუშაობის გასაჯანსაღებლად.

გ. ყუფუნია,
მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის რაიკომის თავმჯდომარე.

როდის ექნებათ ელექტროშუქი?

ქუთაისის რაიონში ერთ-ერთი დიდი სოფელია ბარდუბანი, სადაც 600-მდე კომლი ცხოვრობს. უკანასკნელ წლებში ამ სოფელში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ თითქმის არაფერი გაკეთებულა სოფლის ელექტროფიკაციისათვის. წლების მანძილზე ჭიანურდება ელექტროგანათებისათვის საჭირო სამუშაოების შესრულება.

ამ სოფლის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობას ჰყავს შეფი — საქენერგოს ქუთაისის სამმართველო. საშეფო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ დაგეგმეს სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოები, შეადგინეს გაყვანილობის გეგმა, რომლის მიხედვით სოფელში უნდა აეშენებინათ ორი სატრანსფორმატორო კიოსკი. სათანადო ხარჯების დასაფარავად კოლმეურნეობის წევრებს შორის ფულიც მოაგროვეს, მაგრამ გაკეთებით ჯერ არაფერი გაკეთებულა.

ბარდუბნელი კოლმეურნეები მოუთმენლად ელოდებიან ელექტროშუქს.

შ. როგაძიძე,
ქუთაისის რაიონის სოფელ ბარდუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„მეჯი ყურადღება საბურთალოს მოსახლეობის კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებას"

„კომუნისტში" ამ სათაურით გამოქვეყნებული წერილი ეხებოდა საბურთალოს მოსახლეობის კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებას. წერილში აღნიშნული იყო, რომ საბურთალოს ბევრი ქუჩა კეთილმოწყობილია, ცუდად არის დაყენებული მოსახლეობის კომუნალური მომსახურება და სხვ.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა „კომუნისტის" კრიტიკა სწორად ცნო და დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობისა და მშენებლობის განყოფილებამ მითითება მისცა გზების, ხიდების ექსპლოატაციის, მშენებლობის, შეკეთებისა და მიწისქვეშა მეურნეობის სამმართველოს გააძლიეროს ყურადღება საბურთალოში დაწყებულ საგზაო სამუშაოთა დასამთავრებლად. ოდესს, ბესარაბისა და ლუქსემბურგის ქუჩებზე უკვე მოეწყო ტროტუარები, გატანილია მიწა. ლერმონტოვისა და ვიბორგის ქუჩების ცალკეულ უბნებზე დაგო ტროტუარები. წელს მნიშვნელოვანი სამუშაოებია გათვალისწინებული: დამთავრდება კრონშტადტის, შმიდტის, შჩორსის, ლესის, ბეშთაშენის, ზოგრეთის, ნანეიშვილის, ნატახტარის, ბაკურიანის, ხყალთოს და სხვ. ქუჩების კეთილმოწყობა. შენდება საბურთალოს ღვარსაშვები კოლექტორი მიცკევიჩის ქუჩაზე. გათვალისწინებულია აგრეთვე საბურთალოს რაიონის მთელ რიგ ქუჩებზე სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის მოწყობა.

„რაჭიმ უარიგდებიან თიანეთში წვეულობის შემცირებას"

„კომუნისტში" ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელიც ეხებოდა თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრებისა და წველადობის მდგომარეობას.

საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის ბიურომ გაზეთ „კომუნისტის" კრიტიკა სწორად ცნო და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად აძაღლდა წველადობა. ხორციელდება ღონისძიებები წველადობის შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად.

ოქროს კანძი

მზაკვრული ზამთარი ეყო წელს კასპიისპირეთში.

მოულოდნელად ამოვარდნილ ქარბუქს დასასრული ხსე არ უჩანდა, როგორც ნოეის თვალუწვდენელ ტრამალს.

მწყემსებმა სათვალავი დაკარგეს. ორ კვირაზე მეტი გავიდა, რაც თოკი დაიწყო და მის შემდეგ არ შეწყვეტილა. ეს კიდევ არაფერი. საქმარისია სამითოდ მზანი დღე, და თოვლის სახი არ დარჩება, მაგრამ მწყემსებისთვის ნამდვილი განსაცდელი გახდა ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი. იგი გულმოდგინედ ხვეტდა თოვლს, ჰაერში კორიანტელს აყენებდა, შემდეგ აღამაანთა ჯიბრზე იქ ავროვებდა, სადაც ცხვრის სადგომები და მწყემსთა საცხოვრებლებია აშენებული.

ყოველ გათენებისას რადისტ ნადია გონჩაროვას ჯიხურთან თავმოყრილნი მეცხვარეები ამინდის პროგნოზს ელოდნენ. ბუნებით თავაზიანი და მხიარული ქალი კარგახანია გაღიმებული არ უნახავთ. აი უკვე რამდენი დღე გავიდა, რაც მას ქართველი მეგობრებისათვის საამიდო სიტყვები არ უთქვამს. ამინდის ბიუროს ცნობით, კვლავ მოსალოდნელი იყო ...„ძლიერი ქარი, ნალექები, ტემპერატურა მინუს 24 გრადუსი..."

თეთრი სპბნთ დაიფარა ნოეის უზარმაზარი სივრცეები, ნამქერმა ჩაეტა გზები, მდგომარეობა აშკარად საგანგაშო გახდა.

ჩორნი რინოკიდან თვითი დატვირთული ავტომანქანების პირველი ქარავანი გავიდა. ეს ნამდვილ სამხედრო ლაშქრობას ჰგავდა. ტრაქტორების დახმარებით კოლონა ტაატით მიიწევდა წინ. ბაჯიგანმდე, სადაც დუშეთის და თიანეთის რაიონების ფერმებია განლაგებული, რამდენიმე საათის სავალ გზას ამჯერად ოთხი დღე და ღამე მოუნდნენ.

ჭირვეულ ზამთარს ჩვენი რესპუბლიკის ფერმები მოუმზადებელი როდი შეხვდნენ, მაგრამ მოსალოდნელი სტიქიის შემთხვევაში აუცილებელი იყო თივის, კონცენტრატების, პროდუქტებისა და სხვა მასალების დამატებითი მარაგის შექმნა.

ყველაზე მეტად უჭირდათ უშუალოდ ზღვის სანაპიროზე, — ბირუზიაკის რაიონში, სადაც შვიდბალიანი ქარი ანგრევდა ცხვრის ბინებს, იტაცებდა თივას და თოვლს სპილ ფენას აყრიდა არტეზიულ ჭებთან მისასვლელ გზებს.

ასეთ ამინდში ცხვრის მინდვრად გაყვანაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. სწორედ ახლა გამოდგათ მწყემსებს წინასწარ დამზადებული თივა და საგულდაგულოდ ნაშენი ბინები.

ახლოდებოდა დღე. მეცხვარეები გაათავეს ენერგიით ებრძოდნენ ზამთარს. იმ დღეებში მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობა მიმდინარეობდა და მწყემსები ცდილობდნენ არამც და არამც სირცხვილი არ ეჭამათ.

მაგრამ ყოველგვარ დასაწყისს თავისი დასასრული აქვს. ერთ მშვენიერ დღეს გამოიდარა. სუსხიანი ქარის ნაცვლად სამხრეთის თბილმა „დევქარამ" დაუბერა და, როგორც იქნა, ღრუბლების ნაფლეთებიდან დარცხვენილმა მზემ გამოანათა.

— ძნელია მოსაგონრად, — გვეუბნება მოხუცი მწყემსი დავით ბოღრაშვილი, — აკი ზამთარი იყო, მაგრამ ჩვენც მაგრად დავხვდით.

* * *

ვის არ ახარებს გაზაფხულის მობრძანება, მაგრამ მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე მეტი სხარული, სითბო და ალერსი მას მწყემსისათვის მოაქვს.

ჯერ კიდევ არ ბრწყინავს ბალახზე მძივებად დაკიდებული ნამის წვეთები, მზის ამოსვლისას მილიონ მარგალიტებად რომ აენთებიან ხოლმე, ჯერ კიდევ მინდვრებს სიმწვანის მაგიერ მორუხო ფერი ადევთ, საკმარისად ცივა კიდეც, მაგრამ ნოეიოეში მაინც გაზაფხულის ფერი და სურნელი იგრძნობა.

მიმდინარეობს დღეი — ყველაზე სასიხარულო და პასუხსაგები პერიოდი მწყემსის ცხოვრებაში.

აგერ მეხუთე დღეა, რაც ქართველო მეცხვარეების ერთი ბინიდან მეორეში გადაადგილდა და ყველგან თოვლიანი თეთრი და ფუნჩულა ბატკნების ბღავილი გვესმის.

რომელ ფერმაშიც უნდა მიხვიდეთ, ყველგან ადამიანთა შრომის სასახელო შედეგს ხედავთ. ფუჭად როდი ებრძოდნენ მწყემსები კასპიისპირეთის სუსხიან ქარს, ტყუილად როდი ათობიან ხოლმე საკუთარი სხეულით ჩვარ ბატკნებს, ყველაფერი ეს შესანიშნავი გამარჯვებით მთავრდება.

მწყემსები თავმდაბალი ხალხია. მათ საკუთარი წარმატების შესახებ ლაპარაკი არ უყვართ. ამიტომ ხშირად იძულებული ვართ ნამატის აღრიცხვის წიგნს მივმართოთ.

დუშეთის რაიონი. სოფელ მლეთის კოლმეურნეობის ფერმა. აქ ოთხი ათასზე მეტი დედაცხვარი ჰყავთ. უკვე დადოლებულია ნახევარზე მეტი. მიღებული ნამატი ნახევრად ნაზმატულია. მლეთელებს გადაწყვეტილი აქვთ მთლიანად შეინარჩუნონ ბატკნის ახალი თაობა, გაზარდონ მატყლის გამოსაელიანობა. საუკეთესოდ შრომობენ მოწინავე მწყემსები ვანო ზაქაიძე, ვასო ბურდული, სიმონ ზაქაიძე, ძმები მიხა და შაო ნაზღაიძეები.

როგორ არ უნდა იამაყონ ჩარგლელმა მწყემსებმა გიორგი წვეროშვილმა, პაპი ხარჩლაშვილმა, სოლომონ ნარიმანიშვილმა და ფერმის გამგემ გიორგი ხუთრაბაშვილმა, როცა მათ შვადასორმოცდა ერთი ცხვარი ადოლეს და არცერთ ბატკანი არ დაუკარგავთ.

საუკეთესოდ უვლიან ცხვარს თიანეთის რაიონის მეცხოველეები. ყებოტის, ტუშურეთის, სვიმონიანთხევის და სხვა ფერმებს ღღემდე, ერთი ბატკანი რა არის, ხსიც არ მოჰკვდომიათ.

...მოზრდისოდენა ქოფაკებმა ყეფით გზა გადაკრეს. ცოტა ხნის შემდეგ ფარეხიდან გამოსულმა მწყემსმა თვალი მოიჩრდილა და ძაღლებს გასძახა:

— ქარუმ, ქარუმ, შე სამგლე, სტუმრებს ვერა სცნობ! მყეფარებს თითქოს შერცხვათ, გაჩუმდნენ და კუდამოძუებულნი უკან გაბრუნდნენ.

სვიმონიანთხეველმა ილიკო ბაბაშვილმა სათითაოდ მოგვიკითხა და შემდეგ საბატკნისაკენ გაგვიძღვა.

ილიკომ საბატკნის კარი ფრთხილად გააღო.

საბატკნეში ერთმანეთს ბარემ ასო ბატკანი ეხეტებოდა. ისინი ლამაზი თვალებით გვიყურებდნენ და ნაღვლიანად ბღაოდნენ, ალბათ დედებე მონატრებოდათ.

— ასეთი საღი ღილი კარგი ხანია არ ყოფილა, — თქვა ბაბაშვილმა.

—ახალგაზრდა მწყემსები თუ გყავთ,—შეეკითხეთ ილიკოს.

— გვყავს, როგორ არა გვყავს! შარშან შემოდგომაზე ხუთი ახალგაზრდა წამოგვეყვა, ვცდილობთ რაც შეიძლება უკეთ გადავცეთ ჩვენი გამოცდილება, ისინიც ვალში არ რჩებიან. გულისყურით სწავლობენ, მაგრამ... ხელიკო შეჩერდა, მიიხედ-მიიხედა და კვლავ გააგრძელა:

— ერთი ახალგაზრდა გვყავს, სახელად ტანგო ჰქვია. ასე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა იქნება, ხასიათი კი ბავშვისა აქვს. ჯერ იყო და, სოფელში სწავლაზე გული აიცრუა, მერე აქ წამოგეყვა, ალბათ ფიქრობდა მეცხვარეობა ადვილი საქმეა და ოიოლად გავალო. აქაური სიცივე რომ ხვეგმა, არ მოეწონა, ზარმაცობა დაიწყო, თუ ახლო-მახლო ავტომანქანამ ჩაიარა, ტანგო აუცილებლად ზედ მოახტება და მერე მთელი დღე უნდა ელოდო მის დაბრუნებას. მრცხვენია, დედამისს რა პასუხი გავცე, საწყალს ჰგონია შვილი კარგ გზაზე დავაყენეო.

უკან რომ ვბრუნდებოდით, ტანგო ბეკოშვილის სამწუხარო ამბავზე ვფიქრობდით. უნებურად გაგვახსენდა ვ. მაიაკოვსკის სიტყვები „ჩვენი დღე იმით არის კარგი, რომ იგი ძნელია". სწორედ შრომაში, სიძნელეების გადალახვაში, ბრძოლაში იწრთობა ადამიანი. სწორედ ასეთი სულისკვეთებით უნდა ვზრდიდეთ ჩვენს ახალგაზრდობას და კერძოდ მეურნეობის ერთ-ერთი რთული დარგის — მეცხვარეობის საქმის ახალგაზრდა თაობას.

...ორი მწყემსი ერთმანეთს საძოვრების მიჯნაზე შეხვედროდა.

ერთი დაბალი იყო, მსუქანი, ღაღაჯა ლაყებითა და სქელი კისრით, მეორე კი მაღალი და აწოწილი.

ჩვენ მათ იმ დროს მივუახლოვდით, როცა ჩვეულებრივი სალამ-ქალამის შემდეგ ერთმანეთის ფარები შეემოწმებინათ — ენახოთ ვის უფრო გალაღებული ცხვარი ჰყავსო.

არც ერთი თმობდა, არც მეორე.

ფშაველი თავგამოდებით ამტკიცებდა — ჩემისთანა თოხლი ამ ახლო-მახლოში არავის ჰყავს და თვალებზე ლაბრი ხომ არა გაქვს, რომ ვერ ამჩნევო.

გამხდარი ტუდამაყრელი კი, ბირქით, თავისი ფერმის ცხვარს აქებდა.

იღბალზე არავინ ჩანდა, ეს გაუთავებელი დავა რომ გადაეჭრა. ჩვენ ამა რა გვეთქმოდა, წყნარად ვიდექით და ვუსმენდით.

ბოლოს, ლაპარაკი რომ მობეზრდათ, ორთავეს სიცილი წასკდათ, ერთმანეთს დ ემშვიდობნენ და თავიანთ ცხვარს მიუბრუნდნენ.

...ზემო ალვანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ფარეთობში ატლეტური აგებულების ახალგაზრდა მწყემსს შეეხვედით.

გაგვიკვირდა, როცა ჩვენი თანამგზავრი, საძოვრების სამმართველოს მთავარი ვეტექიმი ვალიკო იდიძე მწყემსს მიუახლოვდა და მეგობრულად გადაკოცნა.

— გაიცანით, ეს ჩემი ძმა ყბო გახლავთ.

ყბოს ჯიშიანი ყოჩაი ყბარია მერანოსის ჩასუქებული ცხვრები დინჯად სძოვდნენ შარშან თურთიულ მათგანს ვეფი ალვანს ჩვენ ნამატის აღრიცხვის წიგნს მივმართოთ.

ნაკლებს არ მივიღებთო, — გვითხრა მწყემსმა.

ვალიკო ყოჩს რქებში სწვდა და გვერდიდან მცირეოდენი მატყლი გამოიცალა. მოყვითანო ფერის მატყლი აბრეშუმის მსგავსია. რბილი, თბილი და გრძელი. თუ ვას ძაფად დავახვევთ და ხელს ჩამოვკრავთ, ჩონგურის ლარივით აყვერდება.

— ნამდვილი ოქროს კანძია, — თქვა იდიძემ.

საინტერესოა იდუძეების ოჯახის ამბავი.

მეცხვარეობაში დაბერდა ვალიკოს პაპა გაბრიელი, მეცხვარეა მამა გიორგი, რომელიც ამჟამად კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობს. მეცხვარეთა ოჯახის ტრადიციისათვის არც ვალიკოს ტუუს ძმებს — ალოსა და ლაზარეს უღალატიათ.

ტუუებს რვა-რვა კლასის განათლება აქვთ, მაგრამ ფიზიკურ შრომას როდი ერიდებიან, ზამთარ-ზაფხულ ცხვარში დადიან და საუკეთესო მწყემსებად ითვლებიან.

ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგეა ვალიკოს ბიძა, ვეტექიმი დავით თურქიშვილი. მისი ხელმძღვანელობით მწყემსებმა ორი ათას ოცდათხუთმეტი დედაცხვრიდან ორი ათას სამოცდაორი ჯანსაღი ბატკანი მიიღეს.

საერთოდ თუშეთი ჩვენს რესპუბლიკაში ტუუილად როდი ითვლება მეცხვარეობის კლასიკურ კუთხედ. სომართლე უნდა ითქვას — ახმეტელ მწყემსებს ცხვრის ბოვლა-პატრონობაში მართლაც ბადალი არა ჰყავთ.

...მიეყვებით დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ახმეტისა და ლენინგორის რაიონების ფერმებისაკენ ცხმავალ გზებს, ვხვდებით ტალახში ჩაფლულ ავტომანქანებს, გუდუნებენ ტრაქტორები, ისინი ეხმარებიან გაჭირვებაში ჩავარდნილ ავტომძღოლებს... ზართალია, ნოლაეთში კარგი ამინდი დგას, მაგრამ მარტი სანდო არ არის. ამიტომაც ადამიანები ჩქარობენ სწრაფად შეავსონ თივისა და კონცენტრატების მ



ბოსტონი (საფრანგეთი). 3 მარტს აქ წყალში ჩაუშვეს საბჭოთა კავშირის შეკვეთით აგებული სატვირთო გემი „ივანე ხერენოვი“. სურათზე: გემის წყალში ჩაშვების მომენტი.

ფოტო იუნაიტედ პრესფოტოსი.

★

საღილი ლეიბორისტული პარტიის ეროვნულ აღმასკომში გ. მ. მალენკოვის პაგივსაცემად

ლონდონი, 20 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს ლეიბორისტული პარტიის ეროვნულმა აღმასკომმა სადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ელექტროსადგურთა მინისტრის გ. მ. მალენკოვის პატივსაცემად, რომელიც ინგლისში იმყოფება. სადილზე იყვნენ ლეიბორისტული პარტიის ეროვნული აღმასკომის თავმჯდომარე ე. გუჩი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ჰ. ჰეისტკელი, პარტიის ლიდერის მოადგილე დ. გრიფიტსი, პარტიის გენერალური მდივანი მ. ფილიპსი, ლეიბორისტული პარტიის ეროვნული აღმასკომის წევრები და თვალსაჩინო მოღვაწეები ქ-ნი ე. სამერსკილი, ე. ბევინი, რ. კროსმენი, ტ. დრაიბერგი, გ. ვილსონი, ს. სილვერმენი, უ. ბერკი, ქ-ნი ბ. კასლი, ქ-ნა ა. ბეიკონი, დ. დევისი, დ. კუპერი, ქ-ნი ზ. ჰერბისონი, ჰ. ერნშოუ, ა. სკეფინგტონი, ქ-ნი ე. ჰორანი და სხვები.

საბჭოთა მხრივ სადილზე იყვნენ გ. მ. მალენკოვი და სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ხ. ა. მალიკი.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან უთანაბრობის ნორმალიზაციისათვის

ნიუ-იორკი, 20 მარტი. (საკდესი). როგორც ბრაზილიის გაზეთი „იმპრენსა პოპულარი“ იუწყება, სან-პაულის სავაჭრო ასოციაციამ მოითხოვა დაიწყოს სავაჭრო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. ქალაქ ნიტეროის (რიო-დე-ჟანეიროს შტატი) მუნიციპალურმა საბჭომ ერთსულოვნად მოიწონა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. ნიტეროის მუნიციპალურ მრჩეველთა ჯგუფმა მოუწოდა სხვა ქალაქებს ხელისუფლებს მიიღონ ასეთივე რეზოლუციები.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმი

ვარშავა, 21 მარტი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტოს ცნობით, გუშინ ვარშავაში გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმი.

სხდომა გახსნა ამხ. ა. ზავადსკიმ. მან თავისი სიტყვა მიუძღვნა ამხანაგ ბოლესლავ ბერუტის ხსოვნას, რომლის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია პარტიისა და მთელი პოლონელი ხალხისათვის.

სხდომის მონაწილეებმა ერთი წუთის დუმილით პატივი სცეს ამხანაგ ბოლესლავ ბერუტის ხსოვნას.

ამხ. ო. ცირანკევიჩმა სხდომას აცნობა ამხანაგ ბოლესლავ ბერუტის ავადმყოფობის მსვლელობა.

შემდეგ პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინადადებით პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ედვარდ ოხაბი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შემადგენლობაში ერთხმად შეიყვანა ვარშავის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ეჟი ალბრეტი და ცენტრალური კომიტეტის მძიმე მრეწველობის განყოფილების გამგე ამხ. ედვარდ გერეკი.

წერილების გაცვლა ეგვიპტის, საუდის არაბეთისა და იორდანიის ხელმძღვანელებს შორის

კაირო, 20 მარტი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 18 მარტს იორდანიის სამეფო კანცელარიას უფროსმა ტალჰუნმა ეგვიპტის პრემიერ-მინისტრ ნასერისა და საუდის არაბეთს მეფეს საუდს გადასცა იორდანიის მეფის ჰუსეინის წერილი. მეორე დღეს, 19 მარტს, ნასერმა და საუდმა ჰუსეინს გაუგზავნეს საპასუხო წერილი, რომელშიც, გაზეთ „ალ-გუმჰურიას“ სიტყვით, ნათქვამია, რომ ნასერმა და საუდმა განუცხადეს ჰუსეინს, რომ არაბთა სამი ქვეყანა — ეგვიპტე, სირია და საუდის არაბეთი — მზად არის მისცეს იორდანიას ფინანსური დახმარება ათი წლის ვადით, დახმარება, რომელიც გაათავისუფლებს იორდანიას ინგლისზე ფინანსური დამოკიდებულებისაგან.

იორდანია, წერს „ალ-გუმჰურია“, უარს არ ამბობს ეგვიპტეს, სირიისა და საუდის არაბეთის დახმარებაზე, მაგრამ მტკიცედ მოითხოვს, რომ არაბთა ქვეყნებისაგან ფინანსური დახმარების მიღების პირობად არ დაუდონ ინგლისის სუბსიდიის მიღებაზე უარისთქმა. გაზეთი წერს, რომ იორდანია გამოთქვამს იგრეთვე სურვილს, რომ მისთვის ფინანსური დახმარების მიცემაში მონაწილეობა მიიღონ არა მარტო ეგვიპტემ, სირიამ და საუდის არაბეთმა, არამედ არაბთა სხვა ქვეყნებმაც.

გარდა ამისა, იუწყებიან, რომ მეფე ჰუსეინი მალე ჩავა ეგვიპტეში, სირიასა და საუდის არაბეთში ოფიციალური ვიზიტით.

იორდანიის პრემიერ-მინისტრ რიფაის განცხადება

კაირო, 20 მარტი. (საკდესი). პრესის ცნობებით, იორდანიის პრემიერ-მინისტრმა რიფაიმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იორდანია წინააღმდეგია რაიმე პაქტში მონაწილეობისა. იორდანიის მთავრობა, თქვა მან, მხარს დაუჭერს ყოველ ღონისძიებას, რომლის მიზანია არაბთა ქვეყნების მთავრობებისა და ხალხების თანამშრომლობის განმტკიცება.

შეეხო რა ინგლის-იორდანიის ურთიერთობებს, ერ-რიფაიმ თქვა, რომ ეს ურთიერთობა განისაზღვრება 1948 წლის ხელშეკრულებით. მან განაცხადა, რომ ამასწინანდელი ცვლილებები არაბთა ლეგიონში (მხედველობაშია გენერალ გლაბის გადაყენება) „გავლენას არ მოახდენს იორდანიასა და ინგლისს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობაზე“.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ინდოეთს შორის

დელი, 20 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ ხუუწყება, გუშინ დელში ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ინდოეთს შორის ინდოეთის მიერ 455 ათას რუპიად ღირებული საბურღავი დანადგარის შესყიდვისა და ინდოელი სპეციალისტებისათვის მისი გამოყენების სწავლების შესახებ.

დამთავრდა საყოველთაო გაფიცვა ფინეთში

ჰელსინკი, 20 მარტი. (საკდესი). დამთავრდა საყოველთაო გაფიცვა ფინეთში. ეს გაფიცვა, რომელიც 19 დღეს გრძელდებოდა, უდიდესი გაფიცვა იყო ფინეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მთავრობის, ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანებისა და მეწარმეთა ცენტრალური კავშირის ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მიღწეულ იქნა შეთანხმება 20 მარტს გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

ხელმოწერილი შეთანხმება ითვალისწინებს, რომ მუშათა დროითი ხელფასი დიდდება 12 მარკით საათში, ხოლო შეგირდთა და პრაქტიკანტთა ხელფასი — 8 მარკით. გაფიცვის დამთავრებიდან ერთი თვის განმავლობაში პროფკავშირებსა და მეწარმეებს შორის უნდა დაიდოს კოლექტიური ხელშეკრულებანი, რომელთა ვადა გავიდა ან დადს. გაფიცვაში მონაწილე მუშები უნდა მიიღონ წინანდელ სამუშაოზე, თუ ისინი საწარმოში გამოცხადდებიან 27 მარტამდე.

დათანხმდნენ რა ხელფასის გადიდებაზე, მეწარმეებმა მიაღწიეს მთავრობის ძალიან დიდ დათმობებს, რომლებიც, ალბათ, ჭარბად ანაზღაურებენ ხელფასის გადიდებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. მაგალითად, საკაკო საზოგადოებებისა და ფირმების საშემოსავლო გადასახადი შემცირდება 38-დან 32 პროცენტამდე.

ეს შეთანხმება ვრცელდება სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაზე.

ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების თავმჯდომარემ ანტიკაინენმა და ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების გენერალურმა მდივანმა ლინდბლუმმა ფინეთის დეპუტატთა ბუნოს გაუკეთეს განცხადება, რომელშიც მიაჩნიათ, რომ გაფიცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა შეთანხმებაში იმის აღიარება, რომ ფასების მოუწესრიგებლობა ბოროტებაა, და ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების იმ მოთხოვნების აღიარება, რომლებიც ეხება კვების ძირითადი პროდუქტების ფასების გადიდების გამო სამართლიანი ანაზღაურების საჭიროებას.

ნერუს გამოსვლა სახალხო კალაგაში

დელი, 20 მარტი. (საკდესი). დღეს სახალხო პალატაში გამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მეტად დიდი მნიშვნელობა. მან განაცხადა, რომ ყრილობის დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, და აღნიშნა, რომ ყრილობის გადაწყვეტილებანი სეროიზულ გაღვლენას მოახდენენ საერთაშორისო საქმეებზე. ნერუმ ითქვა გამოთქვა, რომ ცვლილებანი საბჭოთა კავშირის პოლიტიკაში შემდგომ შეანელებენ საერთაშორისო დაძაბულობას.

ნერუ აგრეთვე შეეხო თავის მოლაპარაკებას დასავლეთის სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებთან. მან გადაჭრით დაგმო საზღვრო კავშირები, განსაკუთრებით სეატო და ბაღდადის პაქტი, რომლებიც აძლიერებენ დაძაბულობას, და აღნიშნა, რომ საჭიროა მშვიდობიანად მოწესრიგდეს ურთიერთობა ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, განხორციელდეს სანაპირო კუნძულების კუომინთანის და მაძუს ევაკუაცია, როგორც ტაივანის საკითხის გადაჭრის პირველი ნაბიჯი. ნერუმ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი ადგილი მიენიჭოს გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია

ბონი, 20 მარტი. (საკდესი). როგორც დპა-ს საგენტო იუწყება, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰაისმა გუშინ ხელი მოაწერა სამხედრო კანონებს, რომლებიც ბუნდესტაგმა და ბუნდესრატმა მიიღეს: კანონს კონსტიტუციის დამატებათა შესახებ და „კანონს ჯარისკაცთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“.

ინდონეზიის მთავრობამ უარყო ჰოლანდიის მთავრობის პროგვესზი

ჯაკარტა, 20 მარტი. (საკდესი). 19 მარტს ინდონეზიის მთავრობამ ჰაგაში თავისი წარმომადგენლის მეშვეობით ჰოლანდიის მთავრობას გადასცა პასუხი ჰოლანდიის მთავრობის 3 მარტის ნოტისა, რომელიც შეეხებოდა სამოკავშირეო სტატუტისა და მისთვის დართულ შეთანხმებათა ცალმხრივ გაუქმებას.

ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის პასუხში, კერძოდ, ნათქვამია:

1. ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა უარყოფს პროტესტს ჰოლანდიის მთავრობისას, რომელსაც მიაჩნია, რომ კავშირის ზემოხსენებული ცალმხრივი გაუქმება არის აქტი, რომელიც ირღვევს საერთაშორისო პროკედურის ნორმებს.

2. პროტესტი უარყოფილია იმ საფუძვლით, რომ სამოკავშირეო სტატუტს მისთვის დართულ შეთანხმებებთან ერთად, რომელიც დადო 1949 წლის დამლევს „მრგვალი მაგიდის“ კონფერენციის დროს ჰაგაში, ინდონეზიამ ნებაყოფლობით მოაწერა ხელი, უარყოფილია აგრეთვე იმიტომ, რომ სტატუტში არ ყოფილა რაიმე პირობა კავშირის მოქმედების ვადის ან იმ ვადის შესახებ, რომ ერთ-ერთი მხარე განაცხადებდა სტატუტის დენონსირების სურვილს.

ეს ნებაყოფლობითი შეთანხმება, რომელსაც ორივე მხარემ მოაწერა ხელი, ძალაში უნდა დარჩენილიყო მანამდე, სანამ იგი ორივე მხარის ინტერესებს ემსახურებოდა.

3. გარდა ამისა, ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ კავშირის გაუქმება ხელს შეუწყობს ნიდერლანდის სამეფოს და ინდონეზიის რესპუბლიკის — ორი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ბოტანიკურ გაღში

ჰაერში გაზაფხულის სუნი დატრიალდა. ხეები ჯერ კიდევ შიშველია, მაგრამ ბუნებაში იგრძნობა გამოცოცხლება. თბილისის ბოტანიკურ ბაღში აქა-იქ უკვე გამოიყურებიან გაზაფხულის პირველი ყვავილები — იისფერი ფიურისული, გარეული ზამბახი, აფხაზეთის მოწითანო ხარისძირა, ალპური ენძელა, თეთრი ძაღლისბალა და სხვა მცენარეები.

სულ სხვაა ბაღის ორანჟერიებში. აქ უკვე ნამდვილი გაზაფხულია. სქელი მინების საფარქვეშ გადაშლილია ათასფერი ყვავილი. აქ კარგად გრძნობენ თავს თბილი ქვეყნების მკვიდრნი — ბრაზილიის ანთურიუმები მეტად ლამაზი, წრისებურად შეკრული წითელი ყვავილებით, მომხიბლავია მოწითანო ფერის რძიანა, კლივია, ამარილისი და ტროპიკული ქვეყნების სხვა მცენარეები. მალე აყვავდება აფრიკის ია.

ტროპიკულ და სუბტროპიკულ მცენარეთა ორანჟერიების დათვალიერებისას მნახველების ყურადღებას იპყრობს იშვიათი ჯიშის პალმები, მაღალი, სქელკანიანი, ეკლებიანი მექსიკური პერუსცერეუსი, მექსიკური აგავა ატენუატა, კუნძულ კუბის მკვიდრი ფურკროია და სხვა მცენარეები. სულ ამ ორანჟერიებში 400-ზე მეტი სახეობის მცენარეა.

ქალაქისათვის მრავალფეროვანი ცოცხალი ყვავილების მიწოდების მიზნით დიდმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ხელი მოჰკიდა მეყვავილეობას. კოლმეურნეობას დახმარებას უწევს ბოტანიკური ბაღის დეკორაციული მეყვავილეობისა და მებაღეობის განყოფილება, რომელმაც კოლმეურნეობას მისცა მიხაკის, გიორგინის, თეთრი შროშანის, ტულიპისა და სხვა ყვავილების თესლი, ეხმარება კონსულტაციებით და სხვ.

ამჟამად ბოტანიკურ ბაღში მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. მებაღეები ამზადებენ ნიადაგს, გამოჰყავთ ნერგები, გადასარგავად ამზადებენ ადრეულ ყვავილებს.

* * *

სურათზე: მებაღეები დ. ვალიაევა და ე. სიუკაევა უვლიან ახლად გაფურჩქნულ ადრეულ ყვავილებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხელოვნების ქრონიკა

„ოიდიპოს მეფე“ ბ. ალექსიძის სახელობის თეატრში

მიმდინარე სეზონის მორიგ ახალ დადგმად რუსთაველის სახელობის თეატრმა 20 მარტს მაყურებელს უჩვენა სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“ (თარგმანი რუსულიდან დ. გაჩეჩილაძისა).

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია დ. ალექსიძე, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი. დადგმის კონსულტანტია პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი.

წარმოდგენაში მონაწილეობდა თეატრის მთელი დასი, აგრეთვე მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის, ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლისა და ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეები. მთავარ როლებს ასრულებდნენ ა. ხორავა (ოიდიპოს მეფე), გ. საღარაძე (კრეონი), ნ. ლაფაჩი (იოკასტე), ე. აფხაიძე (კორინთელი მოამბე), ნ. ჩხეიძე (ტირეზია), ბ. კობახიძე (მწყემსი), მ. ჩიხლადეკ, გ. ასიტაშვილი, თ. თეთრაძე, მ. მიქელაძე და სხვ.

დღეს და ხვალ ოიდიპოს მეფის როლს შეასრულებს მსახიობი ე. მანჯგალაძე, ხოლო 24 მარტს ა. ვასაძე.

ახალი სპექტაკლი

თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრმა მიმდინარე სეზონის მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა მ. მაკლარსკის და. დ. ხოლენდროს დრამა „უბედური შემთხვევა“.

პიესის მოქმედება მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის შორეულ ჩრდილოეთ საზღვარზე და მოგვითხრობს საბჭოთა ადამიანების სიფიცხლეზე.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. სმირნანინი, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. შტენბერგი.

მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები კ. მიუფეკე, ფ. სლავინი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ლ. ვრუბლევსკაია, ბ. ვიაზემსკი, ვ. ზახაროვი, ა. ლემერგარტი, მსახიობი ე. კერეკენეკეი და სხვ.

საქართველოს გუნდის წარმატება

კიევი. (სპეც. კორ.). აქ ახალ საცურავ აუზში ორ დღეს გრძელდებოდა ხუთი მოძმე რესპუბლიკის — უკრაინის, საქართველოს, უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და მოლდავეთის სპორტსმენთა ნაკრები კოლექტივების შეჯიბრება წყალში ხტომაში.

ამ ასპარეზობაში კარგი სპორტული შედეგით პირველი აღგილი დაიკავა საქართველოს გუნდმა, რომელმაც 70 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინის სპორტსმენთა კოლექტივი, მესამეზე—უზბეკეთის გუნდი.

პირად შეჯიბრებაში საქართველოს გუნდიდან წარმატება მოიპოვეს ტ. ინწკირველმა, ზ. იერგოგინამ, ბ. პოლულიახმა, ა. ლისოვსკიმ და მ. იუზბაშევმა.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდი კიევში აპრილის შუა რიცხვებამდე დარჩება და გაიგზავნის წვრთნას სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

დისერტაციის დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

1956 წ. 3 აპრილს დღის 2 საათზე ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს

ოთარ ვარლამის-ძე ცქიტიშვილი

თემაზე: „Из истории хурритского общества по материалам архива Нузи“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია

აცხადებს კონკურსს მზისა და ცოცმილების სექტორის, მზისა და ცოცმილების სექტორის ორი უფროსი მეცნიერ თანამშრომლის და ასტროფიზიკის და ვარსკვლავთ ასტრონომიის სექტორის ერთი უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობებზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს ორ-ორ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დიპლომების შემოწმებული ასლები, საჭმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და სამეცნიერო შრომების დახასიათება.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

მისამართი: აბასთუმანი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია.

მოქალაქე **ფლორენცია კარლოს ასულმა პეტროსიანმა**, მცხოვრებმა მე-3 დოლაბაურის ქ. № 17-ა, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **სერგო გარეგინის-ძე პეტროსიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს 26 კომისარის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **რიმა ნიკოლოზის ასულმა კილაძემ**, მცხოვრებმა ქ. თბილისში, ყიზლარის ქ. № 10, აღძრა საქმე ქ. ქუთაისში მაიაკოვსკის ქ. № 42 მცხოვრებ მოქალაქე **ვიტალი ეეტიხის-ძე ქურდიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გუგული სიმონის-ძე ლობჟანიძემ**, მცხოვრებმა ზუმბინის ქ. № 13, აღძრა საქმე აბაშის ქ. № 13 მცხოვრებ მოქალაქე **მერი მათეს ასულ კოკლაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს 26 კომისარის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

დედა მანანა, დები ვენერა, ნათელა იუწყებიან

ლია მიზეილის ასულ მოსულიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-III, 8 ს. გამოსვენება 25-III, 3 ს. ბაკრაძის II შესახვ. № 5.

მეუღლე თამარ, შვილები ვახტანგ, ნინო, დები მედეა, მარგო, ძმა ირაკლი ოჯახებით იუწყებიან

იულონ გიორგის-ძე ხმალაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-III, 8 ს. გამოსვენება 24-III, 4 ს. 30 წ. ბინიდან, წერეთლის ქ. № 3/5.

მშობლები ოლია, ალექსანდრე, მეუღლე ნიკანდრი, შვილები ავთანდილ, რუსუდან, დები მერი, ბაბო ოჯახებით იუწყებიან

რუსუდან ალექსანდრეს ასულ მინდოდაშვილი-მელაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III, 6 ს. ქ. ზესტაფონში.

საქართველოს სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ტრესტის „სამტრესტის“ სპეციალისტები იუწყებიან მეღვინე-ტექნოლოგ

ნიკიფორე ნოშრევანის-ძე თავხელიძის

გარდაცვალებას.

მეუღლე ოლესებ, შვილები აკაკი, ცლადიმერ, შალვა, დავით, ოლია, ელენა, მარგო, ვალადა, და აკვირინე ოჯახებით იუწყებიან

მარო ფირანის ასულ ნიკოლაიშვილი-ბოკუჩავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III სამტრედიაში, გამოსვენება კუბიშევის ქ. № 5.

მეუღლე გალაქტიონ, შვილები პავლე, სულიკო, და პისიკო, ძმები გიორგი, აკაკი, გალაქტიონ იუწყებიან

მარიამ ანდრიას ასულ ფხაკაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III, 5 ს. ქ. ქუთაისში. გამოსვენება შმიდტის ქ. № 38.

მეუღლე ანა, შვილები ვალერიან, რაფიენ, ნიკოლოზ, მარო, ვერა ოჯახებით იუწყებიან

ნესტორ ალექსანდრეს-ძე ჩაჩუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-III, 8 ს. გამოსვენება 25-III, 5 ს. პლეხანოვის გამზირი № 189.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და საფეხცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა ეშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, კამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

УЕ 00168

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

კინო „მოგზაურობა არგენტინაში“

თბილისის კინოეკრანებზე უჩვენებენ ფერად დოკუმენტალურ კინოფილმს „მოგზაურობა არგენტინაში“. სურათი გამოშვებულია დოკუმენტალური ფილმების ცენტრალური სტუდიის მიერ 1955 წელს.

ფილმის ავტორები და ამავე დროს ოპერატორები არიან ნ. ბესარაბოვი, ხ. გუსევი და დ. კასპი. სურათი გადაღებულია 1955 წლის გაზაფხულზე, ოპერატორების არგენტინაში მოგზაურობის დროს.

პირველად მაყურებლის წინაშე იშლება არგენტინის დედაქალაქის ბუენოს-აირესის ხედი. ბუენოს-აირესი ესპანურად „კარგ ჰაერს“ ნიშნავს. ქალაქი დაარსებულ იქნა ესპანელების მიერ 1535 წელს. ბუენოს-აირესი სამხრეთ ამერიკის უდიდესი ქალაქია. მისი მოსახლეობა გარეუბნებიანად დაახლოებით 5 მილიონს უდრის. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. ეკრანზე მოჩანს დედაქალაქის ქუჩები, მოედნები და ისტორიული ძეგლები. აი დედაქალაქის ყველაზე გრძელი და ფართო პროსპექტი ფლორიდა, კონგრესის შენობა, კარდისფერი სასახლე (მთავრობის რეზიდენცია), კოლუმბის სახელობის ოპერის თეატრი. აქ ერთ დროს მღეროდა გამოჩენილი რუსი მომღერალი შალიაპინი.

ბუენოს-აირესი მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ნავსადგურია. იგი ხელოვნურ მიდროტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც თითქმის 29 კილომეტრზეა გაჭიმული.

მაყურებელი ხედავს საბჭოთა კავშირის გემს. მან არგენტინაში ლითონი ჩაიტანა, სამაგიეროდ კი ტყავი და მატყლი მოაქვს. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად ვითარდება საბჭოთა კავშირ-არგენტინის სავაჭრო ურთიერთობა. როგორც ცნობილია, 1955 წლის მაისში საბჭოთა კავშირსა და არგენტინას შორის დადებულ იქნა ურთიერთსასარგებლო სავაჭრო ხელშეკრულება.

...კადრი კადრს ცვლის. მაყურებლის წინ იშლება მარადმწვანე პამპა, რომელსაც ცენტრალური არგენტინის ვრცელი ტერიტორია უკავია. პამპა ქვეყნის წამყვანი ეკონომიური რაიონი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უდიდესი მწარმოებელია.

ხაძოვრებზე ლადად გაშვებულ ცხოველებს გაუჩოსები (მწყემსები) უთვალთვალებენ. გაუჩოსი, რომელიც დღედაღამ თითქმის ცხენზე ზის, საუკეთესო ცხენოსანია, მისი განუყრელი მეგობრები არიან ცხენი, ლასო და გიტარა. დიდ ინტერესს იწვევს კადრი, სადაც ნაჩვენებია ცხენების გახედვნა. ხალამოთი ცეცხლთან გაუჩოსი გიტარით ხელში ეროვნულ სიმღერებს ღიღინებს.

აი ფილმის ავტორები მაგელანის სრუტის თავზე არიან. გამოჩნდა ცეცხლოვანი მიწაც, რომელიც დაფარულია თოვლით. ცეცხლოვანი მიწის არქიპელაგი ძალზე თხლად არის დასახლებული, მცხოვრებთა რაოდენობა 7 ათასამდე აღწევს. ეკრანზე მოჩანს ცეცხლოვანი მიწის ადმინისტრაციული ცენტრის — ქალაქ უშუაიას ხედი.

ფილმის ავტორები კურსს ჩრდილოეთისაკენ იღებენ. ამჯერად მაყურებლის წინ პატაგონიის არამიმზიდველი, ნახევრად უდაბური სანაპიროა გადაშლილი. პატაგონია არგენტინის მეცხვარეობის უმნიშვნელოვანესი რაიონია, სადაც ცხვრის რაოდენობა დაახლოებით 20 მილიონს აღწევს. ეკრანზე მოჩანს პატაგონელ მეთევზეთა პატარა დასახლებული პუნქტი, შემდეგ არგენტინის მოდური კურორტის მატელიგაკას კეთილმოწყობილი პლაჟი აქვეა სათამაშო სახლი „კაზინოც“, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ფულის სათამაშოდ ადვილად გამდიდრების მსურველნი, ბანკირები, კაპიტალისტები და სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები იკრიბებიან.

მაყურებლის წინ არგენტინის უძველესი ქალაქი ტუკუმანია. ტუკუმანიდან მარშრუტი არგენტინის ჩაკოსაკენ მიემართება. ქვეყნის ჩრდილოეთი ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყეებს უკავია. აი ტყისმჭრელები ვეებერთელა ხეებს უკაკუნებენ ცულს. ეს მაგარმერკნიანი ხე „კვებრახოა“. „კვებრახო“ გუარანის ენაზე ნიშნავს „დაამტვრიე ცული“. „კვებრახოსაგან“ დამზადებული შპალები 30 წელიწადზე მეტ ხანს ძლებს.

შემდეგ ეკრანზე მოჩანან სამხრეთ ამერიკის მცენარეობის უმნიშვნელოვანესი რაიონი, სადაც ცხვრის რაოდენობა დაახლოებით 20 მილიონს აღწევს. ეკრანზე მოჩანს პატაგონიელ ბოროტმოქმედ ბუენოს-აირესი, მისი ლამაზი ქუჩები და შენობები გამოჩნდება. ფეხბურთი არგენტინაში დიდი პოპულარობით სარგებლობს და მაყურებელი უყურებს ფეხბურთის ერთ-ერთ მატჩს.

ეკრანზეა საბჭოთა მაყურებლისათვის უკვე საკმაოდ ცნობილი არგენტინელი კინომსახიობი ლოლიტა ტორესი, რომელსაც იღებენ ახალ კინოსურათში „სიყვარული ერთი შეხედვით“.

ფილმში მეტად მოხდენილად არის ჩართული არგენტინელი სიმღერები და ცეკვები. განსაკუთრებით კარგია სიმღერისა და ცეკვის ხალხური ანსამბლების მიერ შესრულებული ცეკვები „სომბრერიტო“, „კარნავალიტო“ და პამპის მცხოვრებთა სატრფიალო ცეკვა „სამბო“. ფილმის წარმატებას ხელს უწყობს კომპოზიტორ ვ. გევიკსმანის მიერ კარგად შერჩეული მუსიკა და ო. სავიჩის სადიკტორო ტექსტი.

კინოფილმი დიდი გემოვნებით არის გადაღებული, ფერები ნაზი, ლამაზი და სასიამოვნოა.

საერთოდ კინოსურათი „მოგზაურობა არგენტინაში“ მდიდარ, კარგად შერჩეულ მასალას აწვდის მაყურებელს ამ მეტად საინტერესო ქვეყნის შესახებ.

ნ. ნაბუეგია,
გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

კადრი ფილმიდან „მოგზაურობა არგენტინაში“.